# საქართველოს ქალი

645/2
2004/2



2004
№11-12

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე – პეტერბურგელი ქართველები ნატალია ბაინდურაშვილი და გიორგი წერეთელი, რომელთა ახალი ოჯახი ახალ წელს პირველად ხვდება; მეოთხეზე – მოდა-2005

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman. A Magazine for Women

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!
## მრავალს დაესწარით!

## იუბილე

ქართველი ხალხის უსაყვარლეს პოეტს, ჭეშმარიტ შემოქმედს, უბადლო ლექსების ავტორს ქალბატონ ანა კალანდაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სიამოვნებით ვიხსენებთ იმ დღეებს, როცა იგი სტუმრობდა რედაქციაში და ყოველთვის იყო უბრალო, კდემამოსილი, უპრეტენზიო, რითაც ამაღლებდა ქართველი ქალის ღირსებას.

**რედაქციის თანამშრომლები**

და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა დამისმთევარი
თოვლში ნაზდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაჭებით
ურძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

**ანა კალანდაძე**

# ღმერთო, უშველე საქართველოს!

ნარკვევი

იგი ბარნოვის ქუჩაზე მოდის. არც საბედოს ეძებს, არც სიყვარულს. თავად არის სიყვარული. უყვარს სახლი, სადაც ცხოვრობს, მზე, ფანჯარას რომ მოადგება, გამზრდელები, აქ რომ ცხოვრობენ, მეგობრები, გარს რომ ეხვევიან, ყველაზე მეტად მაინც – დედ-მამა.

თხელია, სიფრიფანა. მაღალი ყელი აქვს და დიდრონი თვალები. შველს ჰგავს. უკან უხედავენ. ულიმიან. ბედნიერია. თავისუფლება ყველაზე მეტად ახარებს. თავისუფალია არჩევანში – რასაც უნდა, გააკეთებს. უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ბოლო გამოცდა ჩააბარა. ბედნიერია, ახალ ცხოვრებას იწყებს.

მოულოდნელად დედა-შვილი სტუმრად მიდის, ჩვეულებრივი სადილია, ოჯახური. პირდაპირ ვაჟი უზის, მისჩერებია, თვალს არ აშორებს, ფატი გრძნობს, რომ ვაჟს მოეწონა; ასე უცბად? ჩვენ ხომ არაფერი ვიცით ერთმანეთის. მე, ფატი ბენდიანიშვილმა სულ ახლახანს გავიცანი მასპინძლის ნათესავი, ლენინგრადელი ქართველი ვლადიმერ წერეთელი. ესაა და ეს.

ბარნოვის ქუჩაზე მოდის ფატი, ის ახლა უფრო ამაყია. ქალიშვილმა იცის, რომ მასზე ფიქრობენ ჩრდილოეთის ქალაქში, სადაც ზამთრის მოახლოება ადრე იგრძნობა, თბილისში კი ოქტომბერი ისევ თბილია, ჭადრების გაყვითლებულ ფოთლებში დამალულა შემოდგომა.

ლენინგრადიდან ყმაწვილი უთვლის, რომ შეუყვარდა, სხვას არ შეირთავს, ჩამოვა და ინახულებს. ჩამოდის თითქმის ყოველთვე და ფატიც თანახმაა გაჰყვეს ყველგან. სიყვარული მოსულა ჩუმად, თავისთავად...



● ფატი წერეთელი

მიდიან ლენინგრადში, უფრო სწორად, ულამაზეს ზღაპარში. ეს ხომ საოცრებაა, რასაც სხვაგან ვერ ნახავ. აქ მიწაზე ფეხის დადგმა გერიდება, არაფერი დააზიანო. აქ ყოველი გოჯი ისტორიით სუნთქავს. ბედნიერებაა მოხვდე პეტრე დიდის გრანდიოზულ ქალაქში და ნახო გრანიტოვან არტახებში ჩამწყვდეული ბალტიის ზღვის ტალღები როგორ ლოკავენ ქალაქის მკერდს, ეფერებიან, აძინებენ... უფრო დიდი ბედნიერებაა, გახდე ლენინგრადელი.

და ფატი გახდა. სიყვარულთან ერთად იპოვა ქალაქი, რომელიც მისი სულის ნაწილია. არ ეთმობა. ლენინგრადი ფატის ქალაქია.

ლენინგრადი სობჩაკის ქალაქიცაა. იგი მისი პირველი მერია. ანატოლი ის პიროვნებაა, რომელიც ხალხის სამსახურში არ იძინებს, ვინც მზადაა ქალაქის ყველა პრობლემა გადაწყვიტოს და განსაკუთრებით მოეფეროს პატარებს, ანატოლი მგრძნობიარეა და იცის, რა ძნელია იყო უდედმამო ინვალიდი, გაკლდეს თბილი ჭერი და მშობლიური მოფერება. ქალაქსა და ოლქში ბევრია ასეთი, ამიტომ მერიაში ბავშვთა დაცვის ცენტრს აყალიბებს. გვერდით ისეთ ხალხს იყენებს, ვინც მასავით დამუხტულია. ბედნიერებაა იმუშაო სობჩაკთან. ფატი მასთან იწყებს მუშაობას. ბედნიერია ფატი.

ის იმ უდედმამო ინვალიდებზე ზრუნავს, რომლებსაც ახალი დედ-მამა უნდა მოუძებნოს. მათთვის ოჯა-



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



● არტემ მაღალაშვილი, ფატი წერეთელი, ირმა ნიორაძე და ქეთევან მაჭავარიანი ერმიტაჟის საგამოფენო დარბაზში ჯ. ბალანჩინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

ხურ მყუდროებას არჩევს და პოულობს. ახალი მშობლები კისრულობენ ინვალიდთა განკურნებას. ისინი მეტწილად უცხოელებს მიჰყავთ.

ოთხი წლის ბიჭუნას მკლავები არა აქვს. არც მშობლები ჰყავს. უცხოლებმა იგი შვილად აიყვანეს. ერთი წლის მერე ბიჭს საკუთარი ნახატები ჩამოაქვს და ლენინგრადში გამოფენას ხსნის. მითია თუ სინამდვილე? ფატი ბედნიერია, არ დაკარგულა იმედი.

ლენინგრადი იმედის ქალაქია, თბილი და ალერსიანი, ისეთი, როგორიც მისი ოჯახია. ქმარი მის სურვილს უსიტყვოდ იგებს, ანებივრებს, თუ შვილების წამოზრდამდე წლები შინ გაატარა, ახლა ორმაგი ენერგიით მოღვაწეობს. მერიის ბავშვთა დაცვის ცენტრში ქართველი ქალი თვალსაჩინო ფიგურაა. დღევანდელ პეტერბურგში ქართველებს ხშირად შეხვდებით. ზოგის წინაპარი დიდი ხნის წინ არის ჩამოსული, კარგი საქმეები უკეთებია და სახელი დაუტოვებია. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, ექიმები, იურისტები, მწერლები, მუსიკოსები... ზოგიც გასული საუკუნის ბოლოს ჩამოვიდა, ისწავლა, იმუშავა და დღეს სახელმოხვეჭილი კაცია. ერთერთი მათგანია ბადრი კაკაბაძე, დიდი გულისა და შემართების ქართველი. აქაური მაცივრების ინსტიტუტი დაამთავრა და „პეტრიხოლოდში" ოსტატად დაიწყო მუშაობა. ყველა თანამდებობრივი საფეხური გაიარა და როცა ამ დიდი და პრესტიჟული დაწესებულების გენერალური დირექტორის არჩევა დასჭირდათ, ყველამ ბადრის დაუჭირა მხარი. მისი საქველმოქმედო საქმიანობა ფართოდაა ცნობილი. თუ რაიმე კაპიტალს დააგროვებს, ხალხს ახმარს. პეტერბურგში მისი ბევრი ჩანაფიქრი განხორციელდა – დაარსდა ქართული სკოლა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ჩამოაყალიბა ქართველთა სათვისტომო, რომლის პრეზიდენტიც თვითონაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედა-სამშობლო დაავიწყდა, საქართველოსთვის ბევრ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. ჩანაფიქრი ბევრი აქვს. ხალხს უყვარს. ფატი წერეთელს პეტერბურგი უმისოდ ვერც წარმოუდგენია. ბევრჯერ მიულია მისგან რჩევა, თუნდაც მაშინ, როცა სათავეში ჩაუდგა ისტორიულ-კულტურულ ფონდს „ერთიანი რწმენით. სანკტ-პეტერბურგის ქართველი თავადაზნაურობა" და ნალებ საზოგადოებას მოუყარა თავი. იქაური ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ვლადიმერ წერეთელი



● ტატა წერეთელი

ლები ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ, მრავლდებიან, შვილებს ქართულს ასწავლიან, საქართველოში ხშირად ჩამოჰყავთ, პატრიოტებად ზრდიან. ესენი არიან: რატიშვილები, ჩხეიძეები, წერეთლები, ფალავანდიშვილები, აფაქიძეები, ჩხოტუები, რომლებსაც კვაჭაძეები, კუპატაძეები, მჭედლიშვილები, ბაინდურაშვილები, კაკაბაძეები, გვინჩიძეები, თოიძეები, მაკარიძეები, გორგოძეები და სხვები უმშვენებენ გვერდს.

ამ ცოტა ხნის წინ მათ ერთად გდაიხადეს მსოფლიო ბალეტმეისტერის, ქართველი ჯორჯ ბალანჩინის დაბადების 100 წლის იუბილე, რომელიც ქალბატონ ფატის და მანანა კვაჭაძის ინიციატივით მოეწყო.

... თითქოს წამოიმართა დარბაზში და საზოგადოებას მიესალმა ჯორჯი. თითქოს გადააბიჯა იმ სახლის ზღურბლს, სადაც უცხოვრია და ასი წლის მერე მემორიალური დაფა გამოაკრეს. ბალანჩინის ხსოვნის დღეები პეტერბურგელებს დიდხანს ემახსოვრებათ.

* * *

ოცდათოთხეტი წელია ქალბატონი ფატი პეტერბურგში ცხოვრობს. ეს მთელი ცხოვრებაა. მასში ჩაეტია ყველაფერი – საკუთარი ადგილისა და იმიჯის მოპოვება, ქმრის წინსვლა იურიდიულ სარბიელზე და დღევანდელი მისი მოღვაწეობა იურიდიული კომპანიის „ტვინ – კონსალტის“ პრეზიდენტად, ქალიშვილის ტატას, ექიმ-ფსიქიატრის თვალსაჩინო წარმატებები ბერლინის რეაბილიტაციის კლინიკაში. ამ ქალაქში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება, აქ გაატარა სტუდენტობის საუკეთესო წლები. შემდეგ მეორედ გახდა სტუდენტი, როცა თეატრალურ ინსტუტუტში დაიწყო სწავლა. აქვს ორი პროფესია, საუბრობს ხუთ ენაზე, ეცნობა მედიცინის ახალ მიღწევებს და ეძებს მკურნალობის ახალ საშუალებებს. ვაჟიშვილი გიორგი განათლებით იურისტია და თავისი პროფესიით მუშაობს. იგი წელს დაქორწინდა, ქართულ სათვისტომოში ამოარჩია გულისსწორი – ექიმი ნატალია ბაინდურაშვილი.

პეტერბურგელი წერეთლები თავიანთ სფეროში ნაყოფიერად მოღვაწეობენ. ყველას თავისი საქმე აქვს და შინ სხვადასხვა დროს ბრუნდებიან. ისე რომ, ოჯახის მამა ვლადი (ასე ეძახიან შინაურები) მაშინ შემოაღებს კარს, როცა ძილის საათი კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ ფატი მის მოსვლას ყოველთვის ელის. ერთმანეთს მთელი დღის ამბებს უყვებიან... მერე პირჯვარს იწერენ: „ღმერთო, გააძლიერე საქართველო! სადაც არ უნდა ვიყოთ, როგორც არ უნდა ვიყოთ, მაინც ვიქნებით ქართველები“.

**ლია კაკაბაძე**

# პეტერბურგი ყველას ქალაქია და... ქართველებისაც

იგი ფანჯარაა ევროპისკენ – პეტრეს გამოჭრილი. ეს ფანჯარა სხვა ქვეყნებისთვისაც გაიღო. აქედან შემოვიდნენ რუსეთში რჩეულები – მწიგნობრები, მხატვრები, არქიტექტორები, პედაგოგები, მსახიობები. და დაირწა პეტერბურგში განათლების და კულტურის აკვანი.

აქ დაბრძენდნენ წინა საუკუნეში ქართველი ყმაწვილები და მოწინავე იდეებით დაბრუნდნენ სამშობლოში. მათ სახელებს სამუდამოდ ინახავს ქალაქი ნევაზე.

ტრადიცია არ იშლება. პეტერბურგში ამჟამად ბევრი ქართველი ცხოვრობს – ექიმები, პედაგოგები, მსახიობები, ფინანსისტები, მხატვრები. მათ ემატება ახალი თაობა, რომელიც სკოლაში დადის და სიყვარულით გასცქერის ნევის ნაპირებს. „პეტერბურგელი ქართველი ვარ" – იმეორებენ დიდების ნათქვამს პატარებიც.

ან სად ჰყავს საქართველოს შვილი გასაუცხოებელი, დასაკარგი? ისინი ჩვენგან გარიყული ვერ იქნებიან.

ჩვენი ჟურნალი მათთან საუბარს იწყებს და გაიდება ხიდი თბილისიდან პეტერბურგამდე. იგი ერთმანეთს გაგვაცნობს, დაგვაახლოებს, შეგვაყვარებს.

მშვიდობით გვევლოს ამ ხიდზე.

ბრძოლა სიცოცხლისათვის

# იცნობთ? არ იცნობთ?

ქალბატონი გულნარა გერსამია ისეთი ეფექტური და ელეგანტურია, შორიდანაც რომ მოჰკრათ თვალი, დაგაინტერესებთ მისი პიროვნება. მუდამ გემოვნებით ჩაცმულს ქალური სიფაქიზე ახლავს. სიქათქათე მისი პირისახისა სინათლის სხივს აფრქვევს, ხოლო აზრიანი ცისფერი თვალები გაგახსენებთ დიდი პოეტის ლექსის სტრიქონებს:

**„თვალებში მშვენიერს**
**ვეტრფი მე ცისა ფერს,**
**მოსრული იგი ცით**
**გამოჰკრთის სიამით".**



● გულნარა გერსამია

იგი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა და მსოფლიო საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მინიჭებული აქვს მსოფლიო მოქალაქეობა, ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რომლებიც გამოქვეყნებულია უცხოეთის მნიშვნელოვან ქვეყნებში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 35 სადისერტაციო შრომა, მათ შორის 9 – სადოქტორო. მისი სახელი შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში, რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ ცნობარში, განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვებულია სომხეთის სამედიცინო უნივერსიტეტის ჰერაცის სახელობის დიდი ოქროს მედლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს უკვე ასაკოვანს, არ დაუკარგავს ხიბლი სულიერებისა და სილამაზისა. ასეთი იყო სკოლის პერიოდშიც, სტუდენტობაშიც და მაშინაც, როცა დიდი ოჯახის დედა გახდა. გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებთ კარგად გვახსოვს მისი მშვენიერი წარსული, როცა თანატოლები და უმცროსებიც ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ რაღაცით მაინც. თუმცა მისთვის ყველაფერი შეუმჩნეველი იყო. მუდამ თავის სტიქიაში მყოფს ენერგიულობა და საქმიანი იერი ყოველთვის თან სდევდა. აკი, კიდევაც გამოიკვეთა ერის საამაყო შვილად.

ის, რასაც მან მიაღწია, დიდი და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ ერთმა პიროვნებამ ასეთი საყოველთაო აღიარება და ამდენი ჯილდო დაიმსახუროს. ამაში გულნარა თავადაც დაგვეთანხმა.

– დიახ, ბუნებით ვარ მიზანდასახული. არ მიყვარს საქმის გადადება და გაჭიანურება. როდესაც სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ფეხი არ გამიდგამს არსად. ჩემთვის არ არსებობდა გართობა, თეატრი, კინო, სტუმრობა, ტელეფონიც კი, გარდა სამსახურისა. დღე და ღამე ვმუშაობდი. ჩემი შესვენება იყო მუსიკა. ჩემთვის ფორტეპიანოზე თუ დავუკრავდი, ესეც მეხმარებოდა.

ქალბატონ გულნარას პათომორფოლოგიის დარგში მუშაობის 60 წელი შეუსრულდა: მოვისმინოთ თავად პროფესორის განმარტება.

– სიმსივნეთა ნაადრევი დიაგნოსტიკის და საერთოდ, ზუსტი დიაგნოსტიკის გარეშე შეუძლებელია სათანადო ეფექტური მკურნალობის დანიშვნა. ზუსტი დიაგნოზის დასმა კი სწორედ მორფოლოგიური, მიკროსკოპიული შესწავლით არის შესაძლებელი. მორფოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა გამოაშკარავდეს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე თვალით უხილავი ცვლილებები, რომელიც წინ უძღვის ამა თუ იმ დაავადებას. სწორედ ექიმ-მორფოლოგის დასტურით დგინდება დიაგნოზი – კეთილთვისებიანია თუ ავთვისებიანი სიმსივნე.

ქალბატონ გულნარას გამოკვლევები, რისთვისაც სახელმწიფო პრემია მიანიჭეს, 700 შემთხვევას ეფუძნება. გამოკვლევები ტარდება ოპერაციამდე, ასევე ოპერაციის პროცესში და ოპერაციის დამთავრების შემდეგ.

**– ქალბატონო გულიკო, კიბო განკურნებადია?**

– თუ დაავადებას დასაწყისში მოუსწრებ, განკურნების შანსი მაქსიმალურია გავრცელებული სიმსივნეების დროსაც. ჩვენს ონკოლოგიურ ცენტრში ბრწყინვალე, რადიკალური ოპერაციები კეთდება საუცხოო შედეგით. რადიკალური ოპერაციების დროს ზოგჯერ ერთდროულად ორი-სამი ორგანოს ამოღება და პლასტიკური ქირურგიით მათი ჩანაცვლება ხდება. ამიტომ ჩვენს ქირურგებს – ლევან ჩარკვიანს, რევაზ გაგუას, კოტე მარდალეიშვილს, გია ნემსაძეს, ალექსანდრე ცალუღელაშვილს, ილია ბაქრაძეს და სხვებს ოპერაციისათვის რამოდენიმე საათი სჭირდებათ.

**– ქალბატონო გულიკო, წახნაგოვნებით ბრილიანტიც ფასდება. თქვენი მრავალწახნაგოვნება, ცხადია, თქვენი ოჯახიდან მოდის, როგორ ოჯახში აღიზარდეთ? გაგვაცანით თქვენი მშობლები.**



● გულნარა გერსამია ახალგაზრდობაში

– დედა, თვითონაც შრომისმოყვარე, ძალიან მიწყობდა ხელს. იგი, მარიამ სიდამონ-ერისთავი, პროფესიით მხატვარი გარეგნულ სილამაზესთან ერთად გემოვნებითაც გამოირჩეოდა. იყო დიდი გვარის წარმომადგენელი, არაგვის ერისთავების (ნუგზარ ერისთავის) შთამომავალი, რომელთა ციხესიმაგრე „ანანური" ქსნის მოშურნე ერისთავმა, როსტომმა გაანადგურა. ამის შემდეგ ერეკლე მეფემ ისინი წამოიყვანა და თელავში დაასახლა. დედამ თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა, მამა გახლდათ ექიმი-ფთიზიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა კიევის სამედიცინო უნივერსიტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროში სამმართველოს უფროსად. შემდეგ კი – ტუბერკულოზის ინსტიტუტში მკურნალ – ექიმად. ჩემმა ძმამ გულბაათმა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის ასპირანტურაში, წარმატებით დაიცვა სადოქტორო სასამართლო მედიცინაში და დარჩა იქ საცხოვრებლად. იყო მოსკოვის სასამართლო მედიცინის პროფესორი, მთავარი ექსპერტი. სამწუხაროდ გარდაიცვალა 1996 წელს.



● გულნარა მეუღლე რევისთან ერთად

ჩემი მეუღლე რევი ჩიქოვანი, დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, წლების მანძილზე რესპუბლიკის მთავარი ონკოლოგი იყო. შემდგომ ონკოლოგიური ცენტრის მამოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. გარდაიცვალა 1961 წელს. გვყავს ორი შვილი: გიორგი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და თინათინი – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქალბატონ გულნარას ეამაყება, რომ ოჯახის ყველა წევრი მედიცინას ემსახურება.

... ბრძოლა სიცოცხლისათვის – ესაა მისი ცხოვრების მიზანი.

**დამანა მდივნიშვილი**

# წლის წარმატებული მოღვაწე

პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ სახელი დმანისის არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობით გაითქვა, რომელიც საქართველოში პირველი ევროპელის ნამოსახლარის აღმოჩენას მოჰყვა. მაგრამ 2004 წელი ახალგაზრდა მეცნიერისთვის არანაკლები ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღინიშნა. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გახდა და საპატიო ჯილდო – როლექსის პრემია, აღმოსავლეთევროპელებს შორის პირველმა მიიღო.



● პროფესორ დავით ლორთქიფანიძეს ეამაყება, რომ პირველი ევროპელის თავის ქალა საქართველოში აღმოაჩინეს

**– რას წარმოადგენს ეს ჯილდო და რასთან დაკავშირებით მოგენიჭათ იგი?**

– როლექსის პრემია 2 წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული ინიციატივისთვის ენიჭებათ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერებს: ახალი აღმოჩენებისთვის, ტექნოლოგიური ნოვაციებისთვის, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვისთვის... პრემიის მისაღებად პროექტის წარდგენაა საჭირო, რომელიც ორი წლის განმავლობაში გადის სელექციას. შემდეგ 5 ლაურეატს გამოავლენენ დაწესებული ნომინაციების მიხედვით. მათ პროექტებს კი აფინანსებენ. გარდა ამისა, ლაურეატებს როლექსის სამახსოვრო საათებითაც აჯილდოვებენ. 2004 წელს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში ჩემმა პროქტმა გაიმარჯვა.

**– ორიოდე სიტყვით, თქვენი პროექტის შესახებ...**

– პროექტი ეხება „მომავლის მუზეუმს" – თუ როგორი უნდა იყოს ის დმანისის მაგალითზე. ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ დავიცვათ ისტორიული ძეგლი, არამედ იქ ცოცხალი მუზეუმი შევქმნათ, სადაც ადამიანები ადგილზე მიიღებენ ინფორმაციას და თავს არქეოლოგიური გათხრების თანამონაწილეებად შეიგრძნობენ.

**– ბ-ნო დავით, ქვეყანაში აქტიურად მიდის მსჯელობა მუზეუმების რეფორმაზე, კერძოდ, მათი გაერთიანების თაობაზე. თქვენი შეფასებით, კულტურული მემკვიდრეობის კერებისა და მუზეუმების დაცვა-პოპულარიზაციისათვის როგორ უნდა წარიმართოს რეფორმა?**

– ცალკე თემაა, კონკრეტული მუზეუმების გაერთიანება. აქ უფრო ვმსჯელობთ, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მუზეუმი, რა ფუნქცია იტვირთოს, სადაც აგრეთვე, განთავსდება ე.წ. ლაბორატორიები უმაღლესი რანგის სამეცნიერო კვლევების წარმართვისათვის. საქართველოში ამ გზით უნდა ხორციელდებოდეს სასწავლო პროცესი. ჩემის აზრით, მუზეუმების უმთავრესი ფუნქციაა განსაკუთრებულად ვზრუნავდეთ მოზარდების განათლებაზე.

**– როგორ შეაფასებდით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშობას 2004 წელს, რა წარმატებები გქონდათ?**

– 2004 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მძიმე დანაკლისი განიცადა, შეიძლება ითქვას, აუნაზღაურებელი დანაკლისიც: გარდაიცვალა მისი დირექტორი ბ-ნი ლევან ჭილაშვილი. ეს ძალიან დიდი დარტყმა იყო.

რაც შეეხება წარმატებებს: მუზეუმში გაიხსნა დარბაზები, რომლებიც 4 წელი დაკეტილი იყო, ცენტრალურ ნაწილში მოეწყო ექსპოზიცია – საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, რომელიც დმანისის აღმოჩენებს ეძღვნება. გვქონდა ერთდღიანი გამოფენა „ოქრომრავალი კოლხეთი", რომელიც, მომავალი წლიდან ახალი ექსპონატებით გამდიდრებული უფრო ფართოდ წარმოჩინდება.

სწავლის დაწყებასთან ერთად მუზეუმში მოსწავლეთა ექსკურსიებმა იმატა. მოხარული ვარ იმით, რომ ბოლო თვეებში 7 ათასზე მეტ ბავშვს ვუმასპინძლეთ. ეს ყველაზე დიდი წარმატებაა მუზეუმისათვის. გარდა ამისა, მუზეუმის ეზოში ბავშვებისათვის არქეოლოგიის სასწავლო მოედანი გავხსენით. სკოლის მასწავლებლებთან შეთანხმებით აქ გაკვეთილებიც ტარდება. მომავალში ამას უფრო სისტემური ხასიათი მიეცემა.

**– რას იტყვით საერთაშორისო კონტაქტებზე?**

– ახლახან იაპონიასთან დავამყარეთ პარტნიორული ურთიერთობა. შედეგად ტოკიოს მუზეუმში ქართული სტენდი ამოქმედდა, სადაც წარმოდგენილია ასლები, ფოტო და ვიდეომასალა დმანისის აღმოჩენების შესახებ. ჩვენი კონტაქტები საკმაოდ ფართოა და იმედი გვაქვს კიდევ უფრო გაფართოვდება.

**– საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ქველმო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● დავით ლორთქიფანიძე უცხოელ კოლეგებთან



● რა იმალება მიწის ქვეშ?



● ახალი აღმოჩენა იწყება

**ქმედები თუ ეხმარებიან?**

– ჯერჯერობით საკუთარი ძალებით ვარსებობთ, თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო „ქართუ" ბანკის მხარდაჭერა. ევროკავშირის და საერთაშორისო ფონდების იმედიც გვაქვს. თუ თანხებს მოვიზიდავთ, მუზეუმის რეფორმას მოვახმართ. პირველ რიგში ექსპონატების დაცვისა და კოლექციების მართვის სისტემას განვაახლებთ. რა თქმა უნდა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებს დავაფინანსებთ.

**– ცნობილი მეცნიერის და არქეოლოგის ოთარ ლორთქიფანიძის ვაჟიშვილს მამის განვლილი გზა გეხმარებათ?**

– მისი პროფესია პირდაპირ არ ამირჩევია. ჩემი პრობლემატიკა განსხვავებულია, მაგრამ უნდა ვაღიარო, პირველ წარმატებებში მამას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. მან ჩემი ხედვის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, კერძოდ, იმის შეთვისებას, რომ მეცნიერება და არქეოლოგია თანამედროვეობის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგია წარსულს იკვლევს, იგი მომავლის დასაყრდენიცაა.

**– მამის მემკვიდრეობიდან რას აღნიშნავდით?**

– ოთარ ლორთქიფანიძის სახელს უკავშირდება ვანის აღმოჩენები. მისი მოსწავლეები დღესაც აგრძელებენ მუშაობას და მეც შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობ მათ მიღწევების წარმოჩენაში.

**– და ბოლოს, რას გვეტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?**

– მყავს მეუღლე ანანო მელივა და 10 წლის ქალიშვილი. ჩემი მეუღლე ხელოვნებათმცოდნეა, იგი მუზეუმთან თანამშრომლობს. ახლახანს ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმში საკუთარი ექსპოზიცია მოაწყო. ქალიშვილი ხშირად დამყავს არქეოლოგიურ გათხრებზე. ყველაფერი ძალიან მოსწონს, მაგრამ რა პროფესიას აირჩევს ვერ გეტყვით.

**P.S.**

**ჩვენი ინტერვიუ დასრულდა, რის შემდეგაც ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეს იტალიამ უმასპინძლა: ქ. გენუაში კულტურის ევროპარლამენტის ყოველწლიურ სესიაზე საქართველოს დელეგაციის წევრად ბრძანდებოდა.**

**არის საამაყო პროფესიები, რომელთა რიცხვს განეკუთვნება არქეოლოგია. იგი ერის განვლილი გზის შემეცნებაში გვეხმარება, სტიმულს გვაძლევს თავი დავაღწიოთ მიმდინარე სირთულეებს და მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრებად დავმკვიდრდეთ, ჩვენ, ქართველები, პირველი ევროპელის წინაპრები.**

ესაუბრა **თამარ ნინიძე**

აჭარაში, გონიოს ციხეში გამომცემლობა „დიოგენეს“ თაოსნობით და „საქართველოს ბანკის“ ხელშეწყობით გაიმართა ლიტერატურული კონკურსი „PEN მარათონი 2004“. თითოეულ კონკურსანტს 24 საათის განმავლობაში (23 ივნისის დღის 12 საათიდან 24 ივნისის დღის 12 საათამდე) ქართულ ენაზე უნდა დაეწერა ერთი ორიგინალური პროზაული ნაწარმოები. ყოველი ნაწარმოების თემა უნდა ყოფილიყო „მე მინდა სახლი, რომ იქიდან გავიქცე სადმე, ერთიც მაგიდა, არაფერი რომ აღარ ვწერო“.

ვაქვეყნებთ კონკურსის ერთერთი მონაწილის ნუგზარ შატაიძის პრემირებულ მოთხრობას „გაქცევა“.

ნუგზარ შატაიძე



# გაქცევა

მხატვარი ციცარა ტერელაძე

აქ ექნება სადმე იმ აძაღლებულსაო!

არაო, მანდ კი არა, აქაო, აი, აქ ექნებაო!

მიდიო, მანდ ამოთხარეო... ცოტაცა, ცოტაც მოთხარე, მანდ ექნება ჩაფლულიო და თხრიდნენ, ეძებდნენ.

ვერ პოულობდნენ.

რასაც ისინი ეძებდნენ, ადვილი საპოვნელი არ იყო, მაგრამ არ ეშვებოდნენ – ეზო, მარანი, სათონე და ნაფუზარი სულ გადათხარეს და ვერაფერი იპოვნეს, მაგრამ გულს იმშვიდებდნენ – ეგრე სად არიო, ეგრე ადვილი კი არ არიო!

და ეძებდნენ...

დათქმული ჰქონდათ, ცალ-ცალკე არ უნდა ეძებნათ, ხელიც არ უნდა გაეტოკებინათ ცალ-ცალკე, ერთად უნდა ეპოვნათ და რასაც იპოვნიდნენ, თანაბრად უნდა გაეყოთ, თანაბრად, ზუზივ-წუწივ უნდა გაეყოთ, რომ მერე დავა და ლაპარაკი არა ყოფილიყო – არა, შენ მეტი შეგხვდა და არა შენაო!

ამიტომ ერთად ეძებდნენ, სულ ერთად იყვნენ – ერთადა სჭამდნენ, ერთადა სვამდნენ, ერთადვე მოიღერებდნენ ყელსა და „დაიგვიანესო“... – ერთადა მღეროდნენ, – „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანანო“, და ტკბებოდა სოფელი, იმათი სიმღერით ტკბებოდა.

სიმღერა კარგი იცოდნენ, ისეთი სანაქებო სიმღერა იცოდნენ, რომ იტყოდი – ნეტავ, ყური მომცა და მასმენინაო, ნეტავ, თვალი მომცა და მაცქერინაო!

იცოდნენ.

გათენდებოდა და – ჰაი, ნინა, ნინაო! – ჩამოივლიდა მხარზე ბარგადებული თამარა, – არ მოდიხარ, ქალოო?

მოვდივარ, მოვდივარო! – ხილაბანდის სწორებით გამოვიდოდა ნინა, აიღებდა ნიჩაბს და დაეშვებოდნენ თავქვე. ხან ნაბოსტნარს მიადგებოდნენ, ხან საბძელსა და ხანაც სანეხვეს.

თხრიდნენ, თხრიდნენ, გაჰყავდათ და გამოჰყავდათ თხრილები.

რა არი, ქალო, რას აკეთებთ მანდაო?! – ეკითხებოდნენ გაკვირვებული ქმრები.

წუნწუხის გასადენ კანაოსა ვთხრით, წუნწუხისაო! – მე შენ გეტყვი, ენას ჭალი წამოედებოდათ, მა რა ვქნათო, თქვენ გატოკება არ გინდათ და ჩვენც გულზე ხო არ დავიკრეფავთ ხელებსაო!

და ისინიც, იმათი ქმრებიც კმაყოფილები აკანტურებდნენ თავებს: – არაო, ვერაფერს იტყვიო, ყოჩაღი დედაკაცები შეგვხვდა ორთავესაო. ყოჩაღებიცაო, კარგებიცაო. ახლა როგორი სიმღერა იციანო!

სიმღერა მართლაც კარგი იცოდნენ, მოიღერებდნენ ყელსა და –

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანანო“...

მართლაც არსადა ჩანდა, ჯერ არა ჩანდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდნენ, ზურგზე არ ეცემოდნენ – თხრიდნენ, ეძებდნენ... თხრიდნენ, ეძებდნენ...

მიხა კი იწვა და კვდებოდა. გულაღმა იწვა. დედაკაცი – პატარა, მარილის კვნიწივით გალეული დედაბერი გვერდით მისჯდომოდა, სახე სახესთან მიეტანა და მის ყოველ ამოოხვრაზე ფრთხოდა. კანკალებდა, გული ეფერებოდა. მიხა კვდებოდა, იტანჯებოდა. არ ამბობდა, რა სტკიოდა, რა აწუხებდა, მარტო კვნესოდა, ხრიალებდა და ზოგჯერ, თითქოს გული ამოიგლიჯაო, მუდარასაც ამოაყოლებდა – მიშველეთ, ხალხებოო!

განა ხალხოო, ხალხებოო! – მთელი მსოფლიოს ხალხებს მოუხმობდა საშველად, მაგრამ ვისა ჰქონდა იმისი დარდი, მიხას საშველად ვის ეცალა, ყველას საკუთარი თავი გასჭირვებოდა.

მარტო ეს ერთი შავი, შავად დაკრუნჩხული დედაბერი მისცუცქებოდა, მარტო ესღა ეჩურჩულებოდა: ხო არაფერი გინდა, მიხავ, მითხარი, გენაცვალე, მითხარი და გაუჩენელს გაგიჩენო!

– მიშველეთ, ხალხებო! – მიხა გულაღმა იწვა, ვერც აქეთ ბრუნდებოდა, ვერც – იქით.

მოვიდოდა ჟენია ექთანი, გაუკეთებდა მკლავში ნემსს, დალურჯებულ მკლავში და ტუტუნებდა: ნეტავ რაღასა სტანჯავენ, ქა, რაღას აწვალებენ, ვერ ატყობენ, რო ამ ქვეყნისა აღარ არიო?!

ატყობდნენ, როგორ არ ატყობდნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ, კაცი თავისით არა კვდებოდა და ძალით ხომ არ მოკლავდნენ!

მარტი იდგა. ჯერ ისევ ციოდა. ჩამობურული ზეციდან სველი ფიფქები მოცვიოდა. მიწა ტალახობდა, ილინჭყებოდა, მაგრამ ნინა და თამარა აღარაფერს ეპუებოდნენ – თხრიდნენ, ეძებდნენ... ზოგჯერ შევიდოდნენ მამამთილის ოთახში ხელებდაბუხულები, სახეაჭარხლებულები, მიუშვერდნენ დაწითლებულ ხელებს რკინის გახურებულ ღუმელს, თბებოდნენ, ჩუმად უყურებდნენ მომაკვდავ მიხას, მის საწოლთან მიცუცქულ დედამთილს, მოღუშულ ქმრებს, დაღონებულ შვილებს. შეთბებოდნენ, სულს მოითქვამდნენ, უზამდნენ მერე ერთმანეთს თვალს და გაცვივდებოდნენ ისევ კარში. ჰარიქა, ნინაო, ჰარიქა, ქალოო! ხო ნახე, როგორ მისცუცქებია ის ქუსლიცუა ბებერი ქმარსაო, ხო ნახე, რანაირად ეტუტუნებაო. მაგან თუ ის კოჭობი ჩაიგდო ხელში, მორჩა, მოგჭამა ჭირი, ეგ ჩვენ აღარას გამოგვიჩენსო!

და თხრიდნენ, არ იღლებოდნენ, სულ თანაბარი თხრილებით დაქსელეს იქაურობა – შიგ ისე გადი-გამოდიოდნენ, როგორც რუსის სალდათების სანგრებში.

მაინც არაფერი, სულ არაფერი – ვერაფერს პოულობდნენ.

ვინ იყო, ნეტავ, ვინა თქვა – მიხას ტყვეობიდან ერთი კოჭობი ოქრო აქვს ჩამოტანილიო, – ნეტა, ვინ ჩადგა ამათ ცოდვაში.

მიხა კვდებოდა, სიკვდილის სარეცელზე იწვა და, მართალია, მთელი ცხოვრება სულ სადღაც გარბოდა, სულ ვიღაცას ეპარებოდა, მაგრამ ეხლა მორჩა, აქედან ვეღარსად გაიქცეოდა.

ეს გაპარვა ჯეელობიდან ხელობად ექცა: ჯერ შინიდან გაიპარა და ჩვიდმეტი წლისა მოხალისედ ფრონტზე წავიდა. მერე ტყვეობიდან გაიქცა, ტულუზაში ცოლი შეირთო, მაგრამ მალე იმასაც გამოეპარა, რადგან ღამ-ღამობით სულ აქაურობა ესიზმრებოდა და ქვეშაგებს ცრემლით ასველებდა. იქიდან გამოქცეული ბრესტში პატრულმა დააპატიმრა. გააციმბირეს, მაგრამ იქიდანაც გამოიპარა. ექვს წელიწადს ძაუ-ჯიყაუში იმალებოდა. ერთი ქალი იქაცა ჰყავდა, მაგრამ იმასაც გამოექცა და ბოლოს, შინ ჩამოსული, მარტო სუფრებიდანღა იპარებოდა.

ახლა კვდებოდა და გასაქცევი აღარსად ჰქონდა, სიკვდილს ვეღარსად ეპარებოდა.

– მიშველეთ, ხალხებო!

ვის ეძახდა, ვიღას უხმობდა. იქნებ იმ ფრანგის ქალს, რომელსაც უცნაური სახელი – ნიკოლი ერქვა, ან იქნებ იმ პატიმრებს, შორეული ციმბირის ოქროს საბადოებში რომ ჩაყარეს ძვლები, ანდა იმ ოსის გათქვირულ გოგოს, რომელსაც რატომღაც „გიტლერს“ ეძახდა.

კვდებოდა, კვდებოდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მიხამ მოიხედა, შინაურები ღიმილით მოათვალიერა, მერე ერთი პატარა ჭიქა წყალგარეული ღვინო დალია და, შვილების გარდა, ოთახიდან ყველანი დაითხოვა.

დერეფანში იდგნენ და მოხურულ კარს მისჩერებოდნენ.

ცას თავ-პირი ჩამოსტიროდა.

ნინა და თამარა ნაფუზარში ჩირთიფირთობდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და ოთახიდან ნირწამხდარი, დადარდიანებული ძმები გამოვიდნენ.

– რა გითხრათ, რაიო! – კრუხივით ეცა იმათ დედაბერი.

უფროსმა ხელი ჩაიქნია და გაეცალა.

უმცროსმა კეფა მოიქექა:

– რაიო და სასაფლაოზე არ დამმარხოთო...

– მა სადაო, ქა?!

– სადაო და კოშკის ჩამოსწვრივ, გორის ძირშიო.

– იქ რა უნდა, ბიჭო?!

– მე რავი, რა უნდა... – გოგია წავიდა, ძმას დაეწია, ფიჩხებთან დადგნენ და დაიწყეს იქ ჩურჩული.

– ხო... ისაო, – გამოსძახა დედას გოგიამ, – ნოდარას გოგო გამოიყვანეთო, გაიგე?

– ვინაო?!

– ჩვენი ნოდარას გოგოიო!

– ნინა, ნინა! – აქოთქოთდა დედაბერი.

ნინა ფათაფუთით მოიჭრა. თამარაც ფეხდაფეხ მოჰყვა. მიწიან ხელებს ზურგსუკან მალავდნენ.

– პატარა გოგო მამიყვანეთო, გაიგე, ქალო, ნინოიო... ჩქარა, ჩქარა!

ნინამ და თამარამ ერთმანეთს გადახედეს და მაშინვე ეზოდან გაცვივდნენ. ტალახიან გზაზე მირბოდნენ. სულ მაღლა-მაღლა უხტოდათ დიდრონი ძუძუები.

მიხედ-მოხედებაზე უკან მობრუნდნენ. ნინას წლინახევრის გაკნაჭული ბალღი ხელში აეტატებინა და ისე მოჰყავდა.

– აბა, რა უნდა უთხრა, შვილო, პაპასა? – ეკითხებოდა გოგოს.

– პა-პა!

– როგორა?

– პა-პა!

– ხო, ეგრე, გენაცვალოს ბებო, ეგრე!

თამარა გვერდით მოსდევდა, ბალღს კინკრიხოზე დაკოსებულ უზარმაზარ ბანტს უსწორებდა, ცხვირსახოცს ენით ასველებდა და მოგანგლულ პირისახეს იმით სწმენდდა.

– აბა ეხლა, ნინავ, ხო იცი, რო სიტყვა-სიტყვაა!

– რა სიტყვა, ქა?!

– აკი ითქვა, რო ის კოჭობი თანაბრად უნდა გავიყოთო...

– ეგ, რო გვეპოვნა და...

– მერე, ქალო, ნაპოვნი არ იქნება, ამას რო აჩუქოს, ენაცვალოს ამას ბებოი?

– რა ნაპოვნი, აბა, რას ამბობ...

მაგრამ არ უჩხუბიათ, ვერ მოასწრეს – მიიყვანეს ბალღი და ოთახში შევიდნენ.

ბერიკაცი ისევ მიკნავებულიყო, თვალებდახუჭული იწვა.

ნინამ გოგო ძირს დასვა და პაპას წინ დაუყენა.

– აბა, ნახე, მიხავ, ვინ მოვიდა, აბა, გაახილე თვალები! – დაფაცურდა დედაბერი.

მიხამ ცალი თვალი გაახილა.

– მიდი, გოგო, უთხარი! – ხელი წაჰკრა ბალღს ნინამ.

– პაპაა! – თქვა ბავშვმა.

მიხამ თვალი დახუჭა.

– კიდე, აბა, კიდე! – ზურგში უბიძგა გოგოს თამარამ.

– პაპაა! – გაიმეორა ბავშვმა.

მიხამ ისევ გაახილა თვალი და იქიდან ღაწვზე ერთი ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა:

– ბაბო... – ამოიხავლა მან.

– რაო, მიხავ, რაო, გენაცვალე!

ნინა და თამარა გაფაციცებულები უყურებდნენ.

– ჯუჯულა აჩუქე ამასა, ბაბო... – თქვა მიხამ და ის ცალი თვალი ისევ დახუჭა.

მიხა გამთენიისას მოკვდა – მამლის მესამე ყივილზე დალია სული.

შვილებმა ანდერძი შეუსრულეს და კოშის ჩამოსწვრივ, ერთი ლამაზი გორის ძირში გაუთხარეს საფლავი.

ასე გაიქცა მიხა უკანასკნელად – სოფლის საერთო სასაფლაოდან გაიქცა.



● ქეთი გამგებელი

# ქეთი გამგებელი

დაამთავრა თბილისის 169-ე საშუალო სკოლა და ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური ათწლედი, ორი წლის წინ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. დამთავრებული აქვს გოეთეს ინსტიტუტი.

* * *

ვიდრემდის ქარი მიუწვდომელი
ჩემს არსებაში ჩუმად ხმაურობს,
კვლავ დამრჩებიან ცრემლად ლექსები,
ასე ეულნი — უსათაუროდ...

* * *

ამ ქვეყნად რახან მოვევლინე,
არ მაქვს უფლება,
ერთხელ რომ მაინც არ მოვუკვდე
თავისუფლებას!
ამ ქვეყნად რახან მომავლინა
არსთა გამრიგემ,
არ მაქვს უფლება სამარეში
უღვთოდ ჩავიდე!
ამ ქვეყნად რახან მოვევლინე,
მაქვს ნება სრული,
ერთხელ რომ მაინც გამოვცადო
გზა სიყვარულის!
ამ ქვეყნად რახან მოვევლინე,
მაქვს ამის ნება,
ერთხელ რომ მაინც ავიხდინო
ჩუმი ოცნება!
ამ ქვეყნად რახან მოვევლინე,
არ მაქვს უფლება,
ერთხელ რომ მაინც არ მოვუკვდე
თავისუფლებას!

* * *

ტკივილი მექცა გართობასავით,
დღეები ტანზე ქვიშად მედება,
ტყუილად მგონია თავი მგოსანი,
უქმია ჩემი შემოქმედება;
ისე ნელ-ნელა მკრთალდება ბინდი,
ისე ნელ-ნელა დგება აისი,
არ ვიცი გულით ტარება მინდა,
თუ აღარ მინდა რაც მაქვს ამისი;
ხანდახან ფიქრიც მიხდება ავად
და ვითბობ როგორც გათოშილ ხელებს,
ათასი წამი ისე გადავა,
ერთხელაც დარდი არ გამახელებს.
შემოიღამებს სიტყვაც ფრთიანი,
შემოადგება სილაღეს მანკი
რადგან ტკივილსაც თავისი მოაქვს,
ტკივილსაც უნდა ვუხადო ხარკი.
და შორეული ბავშვობასავით
დღეები ტანზე ქვიშად მედება,
ტყუილად მგონია თავი მგოსანი,
უქმია ჩემი შემოქმედება.

* * *

სულით დიდს შეხვდა სულით პატარა
და სულით დიდის ჩრდილმა დაფარა...
მოსწყინდა სულით პატარას ყოფა,
უსახო ფიქრი, უმიზნო ოხვრა
და თქვა, უთუოდ მეყოფა ძალა
რომ დავასხაო სულით დიდს ლაფი
და გავადევნო მის ნავალს ლაქა...
შეთხზა ტყუილი, დასწამა ცილი,
არ მოერიდა შეფარვით ტირილს
და გამარჯვების ბურუსში ქლესა
კვლავ დაელოდა დიდების მესას;
უცხო სივრცეში დაუდარაჯდა
სულით პატარა მეტოქის მოსვლას,
მაგრამ ამაოდ, სულით დიდი აღარსად
მოჩანს...
აუხდა ნატვრა სულით პატარას,
აახმიანა ჩანგი, ნაღარა,
აღარ დაეძებს ქვეყნად აღარას...
მაგრამ შეხედეთ სულით პატარას,
კვლავ სულით დიდის ჩრდილში არ
მდგარა?!

* * *

ხანდახან ისე შორს წახვალ ხოლმე,
ფიქრიც ვერ გწვდება;
გამახსენდება ატმების ფარჩა —
დარდით ვივსები!..
თან მიხარია, მოსაგონრად რაღაც ხომ
დამრჩა!
რამდენი დადის, არაფერი რომ აქვს —
ისეთი.

* * *

დავიღალე ისე,
თითქოს სუნთქვაც მიჭირს,
ღმერთო, მომამადლე
სიყვარულის ნიჭი...
რაც იყო და გაქრა,
სულში შხამად ღვენთავს,
ღმერთო, ნუ მომიშლი
იმედს ნათელ დღეთა...
და, რადგანაც ბედი
უცნაური მერგო,
სიყვარულის ნიჭი
მომამადლე, ღმერთო!

* * *

ვიცი შენც წახვალ მრავალ სხვასავით,
გამოიგლოვეს მარტი ქარებმა,
ვერც სიმარტოვეს ვეღარ გასწავლი,
ვერც დატირებულ გულის ტარებას
ვიცი, შენც დაგღლის მრავალ სხვასავით
უფერულ ფერთა ჩუმი მსგავსება,
და ღიმილს მოგგვრის ის ნასახლარი,
უწინ რომ დიდი დარდით გავსებდა.
გაივლის დრო და დამავიწყდები,
იქნებ ყოველი იყო ცდუნება,
მერე რა, თუ მე დამრჩა ტკივილი
და დაჭრილ დღეთა გამობრუნება;
სულს მონატრება ცრემლად დასცვივდა,
ჩამოიღარა ფიქრით ნისლები
და მერამდენედ ისევ აცივდა,
და მერამდენედ დარდით ვივსები...
ოღონდ ეგ არის, წახვალ სხვასავით
გამოიგლოვეს მარტი ქარებმა
ვერც სიმარტოვეს ვეღარ გასწავლი,
ვერც დატირებულ გულის ტარებას...

* * *

ისევ მოღრუბლულია,
ისევ წვიმას აპირებს,
ჩავუყვები რუსთაველს
სევდა გამინაპირებს.
თითქოს გუშინ ვაფრთხობდით
მტკვარზე ფრთამალ თოლიას,
ახლა მცირე ტკივილიც
იწვევს მელანქოლიას;
ახლა ის სიყვარულიც
გულს ვეღარ დამიამებს,
ვერც მალამოდ ერგება
უკურნებელ იარებს.
ისევ მოღრუბლულია,
ისევ წვიმას აპირებს,
ჩავუყვები რუსთაველს,
სევდა გამინაპირებს...

* * *

ბუხრის წინ მჯდომი მოხუცივით ოხრავს
ზამთარი
და, როგორც მოხუცს ჭაბუკობის
გახსენებაზე
თვალთაგან ცრემლი ედინება გამშრალ
ღაწვებზე,
ისე ზამთრის თვე სინანულით, წუნარი
სიზანტით
უკანასკნელი შეხვედრის ცრემლს ტოვებს
ნაძვებზე...

* * *

შენის ყურებით ჩამოვდნი,
ქალავ, ლერწამო ტანადა,
ან ახლავ მთაში ამოდი,
ან მე ჩამოვალ ბარადა;
შენი სიტურფე ბევრ ვაჟკაცს
დაეცა, როგორც მეხია
აქ, ჩვენში თორღვაი გყვარობს,
გადაღმა, ფშავში — ვეფხია...
შენ კი ნურავის შეხედავ
ქალავ, ლერწამო ტანადა,
ან ახლავ მთაში წაგიყვან,
ან ჩამოგივალ ბარადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცაცო

## ჩანახატი

მე და ცაცო ექვსი წელია ვმეგობრობთ. ცაცო 39 წლისაა. სამი ბიჭი ჰყავს: თემური, ჭაბუკა და ასლანი. უკვე ბებიაა. დიდ ტაშტში ჩადგმულ სავსე მთვარეს მაგონებს მისი შვიდი თვის შვილიშვილი ნათია. ყოველ ცისმარე ვეპარები მის ჩუქურთმებიან აკვანს, ვუხსნი არტახებს და მძინარეს ვალვიძებ, მეცოდება, ასე გაკოჭილი როდემდე უნდა ჰყავდეთ. მერე „ულტიმატუმს“ ვუყენებ მშობლებს – გაანთავისუფლეთ ამ სატანჯველისგან, აკვანში აღარავინ ზრდის ახლა ბავშვს.

– ამდენი საქმე, ცხრა სულიანი ოჯახი, აკვანი რომ არ იყოს, – მორჩილ წინააღმდეგობას მიწევს ცაცო.

– ეს „კასინკა“ რად გინდა, მოიშორე, – ტვინს ვუბურღავ.

– რა მნიშვნელობა აქვს, თავზე რას დავიხურავ, ჩვენი წესი ასეთია, სამზარეულოში ქალი თავმოხდილი ვის გაუგია, – თავს იმართლებს. მზერა მამამთილისკენ გაურბის.

ცაცო აჭარელია. ერთ დილით უხეშ შეცდომას ვუშვებ, ვეკითხები:
– ცაცო! შენ ქართველი არა ხარ?

შუბლზე აუდის თვალები, ლამაზი ცხვირ-პირი ებინდება.

– აბა ვინა ვარ, ოღონდ მე აჭარელი ვარ, ისეთი ქართველი, როგორი გურულიც თქვენ ხართ, – დაუფიქრებლად მიბრუნებს პასუხს.

ემჩნევა სამი საუკუნის შესახებ ბევრი არაფერი იცის, ან არ უნდა დააკონკრეტოს. ახლა სხვა „ულტიმატუმი“ მომდის თავში:

– მოგინათლავთ ნათიას, აირჩიე ნათლიები, რომელიც შენ გინდა, შვილიშვილი მედეა გაწყობს? – არ ვეშვები. მამამთილი და ქმარი ადვილად თანხმდებიან, ცაცო ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ეღიმება. აჭარელი ქალები ასეთები არიან, სარწმუნოებაში ჩაღრმავებულები, უფროსებზე დამოკიდებულები, ძირითად გადაწყვეტილებებს ოჯახში კაცი იღებს.

ცაცო ყოველ დილით მიკეთებს ბურაოს, კაიმაღს, აჭარულ ხაჭაპურს, შიგადაშიგ ქათამსაც კლავს... დღედაღამ ბზრიალებს, დამჯდარს ვერ ნახავ, ვერ ვიგებ, როდის დგება და როდის იძინებს. ამაცილებს მეორე სართულზე, დამაბინავებს, ძილი ნებისაო, – მეტყვის და გვიანობამდე მესმის ჯამჭურჭლის რახა-რუხი. მისი ქმარი გოჩა მისი ტოლია, ტყეშია წასული, ოჯახი ჰყავს გამოსაკვები, ტყის მეურნეობას ეწევა. უამრავი პირუტყვი ჰყავთ, ახლა ბახმაროს სეზონია, მის მისადგომებთან საძოვრებზე ჰყავს დედამთილს წაყვანილი ნახირი ბიჭებთან ერთად. თან კარტოფილს უვლიან, ხუთ ტონამდე კარტოფილი მოჰყავთ. ყველანი მუხლჩაუხრელად შრომობენ, ყველას თავისი ფუნქცია აკისრია ოჯახში.

– ასე ნაადრევად რად გინდოდათ ეს ქორწინება, ჩვიდმეტი წლის თემურიზე, ნათიას მამაზე ვეკითხები.

– რეიზა ჩივი, – უკვირს ცაცოს, – სანამ, ბაღანა წახთება, რაღაცა უბედურებას გადაეყრება, არ ჯობია ოჯახს მოეკიდოს, ეს რაცხა დაწყევლილი ბალახი თუ წამალია, ისიც გამოჩნდა ჩვენს ტყეებში, ვერ გავიგეთ, ისე შემოუპარებია ვინცხას, რამდენი ჰექტარი გაანადგურეს შარშან ზოტის ტყეებში, ვინ იცის, ვაი თუ, ამისკენაც გაექცეს თვალი-მეთქი, – დაბეჯითებით, გურული დიალექტით მიხსნის, –ხომ გაგიგიათ, სიკვდილის მეტი ნაადრევი ყველაფერი კარგიაო. შარშანწინ თემური დავაქორწინეთ, წელს ნოემბერში ჭაბუკას მოჰყავს ცოლი, სიყვარულით? არ ვაცლი დაფიქრებას.

– რა თქმა უნდა, აკვანში დანიშვნის წესი სადღაა ახლა, წაიშალა. მეც სიყვარულით გავთხოვდი, ჩემი შვილებიც ასე. ასლანზე გვინდა შევიკავოთ თავი, თუ დაგვიჯერა, მეათე კლასშია, ისე გაგვაწვალა, ერთი წელი ძილი არ ვიცოდით რა იყო, მძიმედ იავადმყოფა, გადავყევით, რვაჯერ ვიყავით ლანჩხუთში, ექიმბაშმა გვიშველა.

ულტიმატუმს რა გამომილევს, ცაცოს თბილისში ვეპატიჟები:
– ჩამოდი, ოპერაში, რუსთაველის თეატრში წაგიყვან.

ცირკი და ზოოპარკი მირჩევნიაო, – მოწვევაზე ამ პირობით თანხმდება.

... ჰექტარნახევარზეა მათი სიმინდის ყანა გადაჭიმული, დღეს ამ ყანის დათვალიერება გადავწყვიტეთ. ბაღნები მომეხმარენ, მე მეორე ოჯახში, ჩხაკოურაში ვარ უფრო ხშირად. სამივემ დათესეს, გამარგლეს, გათოხნეს, მოსავალიც მათ უნდა დააბინაონ. ტყესავით გაუვალია ყანა ჭალის პირას. მიჭირს ნაბიჯის გადადგმა, სიმინდი, ლობიო, სოიო ერთმანეთშია გადაბლანდული. გზას ცაცო მიკვლევს, არაფერს გამოვედო უხეიროდ. ყველა სიკეთესთან ერთად უშიშარიცაა ეს თითისტოლა ქალი, თავაწეული მიიკვლევს გზას გუბაზოულისკენ, სადაც ზღვასავით მოლივლივე ყანა მთავრდება.

გურიის მცხუნვარე მზეზე ცაცო თივის გაშლაში მამამთილ ზაქროსაც ეშველება, ჩემი ჭკუით მეც ვშველი, ხელით ვექაჩები თივის ბულულებს, მასე არაო, – მარიგებს. ისე მოხერხებულად ატრიალებს ხელში ფიწალს, მამაკაცს შეშურდება, უხდება, მთაში გაზრდილი ქალია, უთიბია, შეშა უზიდია, ცაცომ ყველაფერი იცის, ნაირნაირი ტყლაპების კეთება, ტყის მცენარეებისგან წვენების დამზადება, სტუმრის რიგიანი გამასპინძლება, ყველაზე მეტად რამაც მომხიბლა და ხელში კალამი ამაღებინა, ეს მისი მორჩილი ბუნებაა, მოკრძალება, პატივისცემა ოჯახის წევრებისადმი, დედამთილ-მამამთილისადმი, ქმრისადმი, სტუმრისადმი.

მაინტრიგებელ შეკითხვებს ვახვევ:

– ცაცო, ნუთუ არავისგან არაფერი გწყინს, სულ კაი ხასიათზე რომ ხარ?

– რომც მწყინდეს, თქვენ ამას მაინც ვერ გაიგებთ, მოკლედ მიჭრის.

– მაინც, ხომ უკვე ნაცადი მეგობრები ვართ, არავისთან არაფერს ვიტყვი, მითხარი, ნუთი ოცი წლის მანძილზე, რაც ირემაძეების რძალი ხარ, არავინ არაფერზე გატკინა გული?

მისი ორი მული მზია და ნარგიზი მყავს მხედველობაში, უკვირს, როგორ შეიძლება მათგან წყენა, ან რა უნდა იყოს ასეთი, ისინი ხომ ჩემი დები არიან?

სულში ვუკირკიტებ, ვერაფერს ვაცდენინებ, კამათში ზაქრო გვერთვება:
– ჩემი ოჯახიდან ჯერ ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, ალბათ ყურანის გამო!

ვეპასუხები ბატონ ზაქროს:

– რა შუაშია ყურანი, ჩვენშიცაა, ოჯახები, ერთმანეთს რომ ხოცავენ.

– მამაკაცი უნდა იყოს თავის ადგილზე, წესრიგი რომ არ დაირღვეს ოჯახში. უფროს-უმცროსობა არ მოიშალოს, ავტორიტეტი უფროსმა არ უნდა შეილახოს, – დარბაისლურად მიხსნის ბატონი ზაქრო.

– თალიკო – შენი დედამთილიც ასეთი კარგია?

– უკეთესი! თვალები უნათდება ცაცოს. მე თუ არაფერს ვუშავებ, ისინი რატომ მაწყენინებენ – განცვიფრებული სახით მაკვირდება.

– სიტყვაშენახული ოჯახია, სტუმართმოყვარე, პურ-მარილიანი, სულ მათი ღუღუნა ხმები ამოდიოდა პირველი სართულიდან მეორეზე.

... მე და ცაცო ვეხვევით, ვეფერებით, ვემშვიდობებით ერთმანეთს, ის ჩემი შვილის ტოლია, რამდენი რამ ნახა და განიცადა, იქნება რაღაც-რაღაცები მართლაც წყენია, ამას მისგან ვერავინ გაიგებს, აქებენ მეზობლები, ბევრი ოჯახი ნატრობს მისნაირ რძალს.

ულტიმატუმი არ მიმაქვს უკან, სამ პირობას მომავალი წლის ზაფხულამდე ვუტოვებ ყურანის მორჩილს: „უკასინკოდ“ დამხვდეს, აკვნიდან ამოიყვანოს ბავშვი და მოგვანათლინოს ნათია!

08. 2004 წ.

**ნანული ბუკია**

# თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები



რამდენიმე წლის წინათ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ იმოგზაურა თურქეთში, რათა შეესწავლა ჩვენებურების, ანუ „გურჯების“ ყოფა-ცხოვრება, მოეძიებინა თურქეთის საცავებსა და არქივებში დაცული უცნობი მასალები, რომლებიც დღემდე შეუსწავლელად და დაკარგულად ითვლებოდა ქართველი ერისთვის. ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ ჩვენს არც თუ ისე შორეულ წარსულს, როცა გამაჰმადიანებული ქართველობა მუჰაჯირობის დროს აყარეს, დაატოვებინეს მშობლიური კუთხე და საცხოვრებლად თურქეთში გადახვეწეს. დიდი იყო აჭარელი ქალების ტკივილი და უკმაყოფილება უცხოეთში გადასახლების გამო, როცა ფანატიკოსი მოლა-ხოჯები ხალხს ოსმალეთში ერეკებოდნენ. ამის გამო თითქმის მთელი აჭარის, განსაკუთრებით კი მაჭახელას ხეობის ქალები ქმრებსაც ეწინააღმდეგებოდნენ და ჭოროხში თავის დახრჩობას ამჯობინებდნენ უცხოეთში გადასახლებას. სწორედ ამ აჭარელმა დედებმა შეასრულეს დიდი მისია ქართველი ერის წინაშე. ქართული კერა არ მოშალეს და ქართული გენის სიწმინდე შემოუნახეს შთამომავლობას. თუ როგორ ცხოვრობენ დღეს თურქეთში ჩვენებური ქალები – ამაზე თავად ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე გვიამბობს:

„თურქეთში, ათა თურქის დროიდან მოყოლებული დღემდე, არსებობს ქალის დამცავი კანონი, რომელიც ქალს ანიჭებს სრული თავისუფლების არჩევანს. მართალია, ტრადიციულად მამაკაცი ითვლება ოჯახის უფროსად, მაგრამ ძირითადად ოჯახის მართვის სადავეები მაინც ქალებს უპყრიათ ხელთ. ოჯახის მმართველის ფუნქცია ე.წ. დიდ-ნენეს, ანუ ბებიას ეკისრება. დიდი ნენე იცავს ოჯახურ ტრადიციებს და ეს ტრადიციები სწორედ ქალების მეშვეობით არის შენარჩუნებული. როდესაც დგება დაოჯახება-ქორწინების ანუ დასახლების დრო (ასე უწოდებენ გურჯები ოჯახის შექმნას), ოჯახის დედა ცდილობს შვილისთვის იყიდოს, ან იქირაოს ცალკე ბინა თავისი ავეჯითურთ, ხოლო პატარძალი ვალდებულია მიიტანოს სამზარეულოს გარნიტური და თეთრეული მზითვად. ოჯახის ბიუჯეტს ქალი განაგებს. იქაური ქალები ოჯახიდან თავსაბურავის გარეშე არ გამოდიან – ამას შარიათის, ანუ მუსულმანური კანონიც კრძალავს. უნდა აღინიშნოს, რომ გურჯი ქალები თურქი ქალებისაგან გამოირჩევიან საოცარი გემოვნებით. მათი თავსაბურავი შეხამებულია მათ ჩაცმულობასთან ფერების საოცარი გამით.

ტრადიციისამებრ, ოჯახის შექმნას წინ უძღვის ნიშნობა, რომლისთვისაც ორივე მხარე (ვაჟის და ქალის) გულდაგულ ემზადება. ნიშნობაზე მომავალი პატარძალი ვალდებულია გამოფინოს თავისი ხელით მოქარგულ-ნაქსოვი ფარდები, გადასაფარებლები, ხელსახოცები, პირსაწმენდები. უნდა აღინიშნოს, რომ იქ დიდი ყურადღება ექცევა ხელსაქმის ცოდნას, რადგან ხელმოკლე ოჯახებს სწორედ ქალის ნახელავით გააქვთ თავი. ე.ი. ყიდიან გაჭირვების შემთხვევაში ქალის მიერ მოქარგულ, ნაქსოვ ფარდაგებს, ხელსახოცებს, პირსახოცებს, სუფრებსა და ა.შ. ნიშნობაზე ხდება ქალის შეფასება თავისი ხელსაქმობის მიხედვით. ნიშნობაზე სულ ცოტა 20-25 ადამიანი მაინც იყრის თავს. სტუმრები მოდიან საჩუქრებით და ზოგჯერ ხდება საჩუქრების გაცვლა. ვაჟი თავის მხრივ ცდილობს შეძლებისდაგვარად შემოსოს მომავალი სარძლო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოქროს ნივთების ჩუქებას (პატარძალთან შეთანხმებით ხდება ოქროულობის არჩევა). ოქროს ნივთებს იმიტომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, რომ ის არის სიმდიდრის გარანტიის საფუძველი. ამიტომ ცდილობენ უმაღლესი ოქროს სამკაულები მიართვან პატარძალს. ნიშნობის შემდეგ ინიშნება ქორწილის დღე. ამ დღეს ნეფე-პატარძალი მიმოდიან მოწვეულ სტუმართა შორის ლანგრით ხელში. სტუმრები ლანგარზე უდებენ ოქროს ნივთებს ნეფე-პატარძალს, ხოლო ოქროს ქინძისთავებს ქალს საქორწინო კაბაზე, თავსაბურავსა და მორთულობაზე უმაგრებენ. ძალიან კარგი ტრადიციები აქვთ ქორწინებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმერ-ხევში. ეს უკავშირდება პირველი ღამის რიტუალს; გვიან ღამით, როცა სპეციალურად მორთულ-მოკაზმულ საძინებელ ოთახში შეჰყავთ ნეფე-პატარძალი, ნეფის შესვლის მომენტში პატარძალი უნდა იჯდეს სავარძელში, კაბის კალთა გადმოფენილი უნდა ჰქონდეს წინ იატაკამდე, სასიძო რომ შევა, იგი მიდის პატარძალთან. მუხლს იყრის, რამდენჯერმე ემთხვევა პატარძლის კაბის კალთას და ლოცულობს:

1. ღმერთო! (ამბობს პატარძლის სახელს და გვარს) დამიწერე ბედნიერება, ხანგრძლივი სიცოცხლე, თეთრი ლეჩაქით დამიბერე, ორივეს შვილიშვილების თეთრი წვერი მოგვასწარი, ღმერთო, გაგვამრავლე! ჯანმრთელი, სრულყოფილი, ღვთისმოშიში, მოსიყვარულე შვილები მოგვეცი, ჩვენი შვილები დედით და მამით, ღლით და სიცოცხლით გააძლიერე! ისე გვაცხოვრე, რომ დაგვაჯილდოვე ამქვეყნიური და იმქვეყნიური სიკეთით. ბოლომდე ერთად გვამყოფე!

2. ღმერთო, ამ ჩემს ქალბატონს ჩემი დედ-მამა, და-ძმები და ნათესავები ისე შეაყვარე, როგორც თავისიანები უყვარს!

ქორწილის ღამის მეორე დღეს ქალი საჩუქრებით დატვირთული სახლში მიდის და იქ 40 დღე რჩება. ქორწინებიდან მე-15 დღეს ქალის მშობლები და ნათესავები ვაჟის ახლობლებს მიართმევენ სადილს ტკბილეულის სახით (ამ ტკბილეულში შედის ტრადიციული ბაქლავა, შაქარლამა) რაც უფრო მეტ ნაჭერს მიუტანენ ტკბილეულისას, უფრო კარგი და სასურველია. ამ რიტუალს „სადილის მიტანა“ ჰქვია (ეს რიტუალები შემონახული აქვთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, საქართველოში, კერძოდ, აჭარაში კი დაკარგულია) 40 დღის შემდეგ პატარძალს ნეფემ უნდა მიაკითხოს. თუ ნეფემ არ მიაკითხა, ან პატარძალი უკან არ გამოყვა, მაშინ ეს ქორწინება ბათილად ჩაითვლება.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მცხოვრები გურჯები, ტრადიციისამებრ გამოირჩევიან თავიანთი თბილი ურთიერთდამოკიდებულებებით ოჯახის წევრებთან. (აქვე მინდა აღვნიშნო ფეხების დაბანის რიტუალი, რომელიც უმაღლეს პატივისცემად ითვლება და მიმართვის ფორმა რძლისადმი: რძალ-ბატონო) როგორც აჭარაში, ასევე თურქეთში დაცულია ქალიშვილობის ინსტიტუტი.

თითქმის ყველა ოჯახში სუფევს იდეალური სისუფთავე, რომელსაც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ყოველ 3 თვეში ხდება ნოხების დარეცხვა, მთელი სახლის დაწმენდა-დასუფთავება კი ყოველდღიური მოვალეობაა“.

**– ქალბატონო შუშანა, როგორი დამოკიდებულებაა ადგილობრივ თურქ მოსახლეობასა და გურჯებს შორის?**

– „არსებობს თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი, რომელიც ორი ხალხის ურთიერთდასაახლოებლად, კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. ფონდს განზრახული აქვს სტამბულში დააფუძნოს ქართული კულტურის ცენტრი. ამ ფონდის პრეზიდენტი გახლავთ ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე), წარმოშობით ქართველი, ცნობილი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, ხოლო ფონდის გენერალური დირექტორია (ისიც წარმოშობით ქართველი) მევლუდ ართვინელი (გოგლიძე).

**– ქალბატონო შუშანა, რა აზრის არიან ჩვენი გურჯი-ქართველები აქედან ჩასულ მეძავ ქალებზე და მოქმედებს თუ არა ჩვენი ქართველი ქალების შელახული იმიჯი მათზე?**

– ქართველი ქალი თურქეთის რესპუბლიკაში დიდად დაფასებული იყო და არის დღესაც. იგი ითვლება ოჯახური სიმტკიცის, სიწმინდის სიმბოლოდ. მისთვის დამახასიათებელია მაღალი, მორალური იდეალები. ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართველი მანდილოსნები აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, თურქეთშიც საპატიო სარძლოებად ითვლებოდნენ. ასეა დღესაც. ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (პროსტიტუციამ) შეაწუხა იქაური ქართველობა, ამ ახალშეძენილ ნაკლს თურქეთში მცხოვრები ქართველი მამაკაცები აბრალებენ ჩვენს მამაკაცებს და ამას ხსნიან მათი სისუსტით. უკვირთ: როგორ ეგუებიან ისინი იმ ფაქტს, რომ ოჯახის დედა მთელი დღე გამოსულია ლუკმა-პურის საშოვნელად. მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ, აგრეთვე, ქართულ ოჯახში ფიზიკურად ქალის დამცირება – შეურაცხყოფა.

**– გვიამბეთ თქვენი ბოლოდროინდელი მოგზაურობის შესახებ თურქეთში.**

– ჩემი ბოლოდროინდელი მოგზაურობის დროს ნაწილობრივ შევისწავლე სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებული წიგნსაცავი, რომელიც საკმაოდ მდიდარია ქართულ ენაზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ეგზემპლარებით. წარმოჩნდა ვარდიძის პიროვნება, წარმოშობით ახალციხელი – შესანიშნავი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოეტი. აღმოჩნდა საინტერესო მასალა მიქაელ თარხნიშვილზე – ცნობილ პიროვნებაზე, საზოგადო მოღვაწეზე, აგრეთვე მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი საინტერესო მასალები. წარმოჩნდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ბიძის, სანდრო მენაღარაშვილის პიროვნებაც. იგი დაკავშირებული იყო ქართველ ემიგრანტებთან და საფრანგეთში შექმნილი – საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანოს (სეგოს) „სტამბული“ წევრი ყოფილა. იღვწოდა თურქ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისთვის. იყო არა მარტო საზოგადო მოღვაწე, არამედ პუბლიცისტი და მწერალიც. ვნახე ჟურნალ „პრომეთეში“ დაბეჭდილი მისი წერილები ფრანგულ ენაზე.

**ნაზიბროლა მიქელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მივაჩვიოთ ბავშვი შრომას

ბავშვი ყოველთვის აქტიურია. ის სულ ცდილობს რაღაცა გააკეთოს. უკვე სამი წლიდან დამოუკიდებლად მოითხოვს ყველაფრის შესრულებას: „მე თვითონ" – ამბობს დაბეჯითებით.

სწორედ დამოუკიდებლობის ამ პირველ მოთხოვნაში ჩანს მისი მისწრაფება შრომისადმი. ძალიან ხშირად მშობლები ყურადღებას არ აქცევენ ამას და ზოგჯერ ღიზიანდებიან, როცა ბავშვი ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს. მას უნდა თვითონ შეიკრას პალტო, ამოიბნიოს ფეხსაცმელი და ასე შემდეგ. ყოველივე ამას დიდი დრო სჭირდება. პატარა თითები ჯერ კიდევ მოუქნელია, დედას კი მოთმინება არ ჰყოფნის, ურჩევნია ყველაფერი თავად გააკეთოს. თავიდან ბავშვის დამოუკიდებელი მოქმედების შეზღუდვა მის პროტესტს იწვევს, მაგრამ მალე ეჩვევა იმას, რომ მას მოემსახურონ, ხდება უსუსური და ზარმაცი.



● პატარა თამარ კიკვაძეს ყვავილების მოვლა უხარია

დედებს ავიწყდებათ და ზოგმა არც იცის, რომ დამოუკიდებელი შრომის დროს ვითარდება ბავშვის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები. შრომისადმი მისი მისწრაფება კი არ უნდა შევზღუდოთ, არამედ წავახალისოთ. ბავშვს ყოველდღე და დიდი მოთმინებით უნდა ვასწავლოთ ჩაცმა, ხელის დაბანა, სასიამოვნოდ ჭამა, კოვზის სწორად დაჭერა. მართალია, თავიდან მას უფროსის დახმარება სჭირდება, მაგრამ მერე, როცა აითვისებს აუცილებელ წესებს, სულ უფრო დამოუკიდებელი გახდება და მისი მოქმედების არეც გაფართოვდება.

ბავშვს უნდა ვასწავლოთ მორწყას ოთახის ყვავილები, სველი ნაჭრით გაწმინდოს მცენარის ფოთლები, მტვერი გადაწმინდოს ავეჯს, ლამაზად გააწყოს მაგიდა სადილობის წინ, სწორად დააწყოს დანა-ჩანგალი, დაეხმაროს დედას გაამშრალოს ჭურჭელი, გააწყოს ლოგინი.

ეზოში ან ბაღში მშობელმა ბავშვს უნდა გამოუყოს პატარა კუთხე, სადაც იგი მიეჩვევა დაასუფთავოს იქაურობა, დახვეტოს, გადაყაროს ჩამოყრილი ფოთლები, მას შეუძლია კვლებში დათესოს მარცვალი, მორწყას და დაელოდოს მოსავალს.

ბავშვი თანდათანობით უნდა მივაჩვიოთ დაეხმაროს მამას სამზარეულოში შეშის შეტანაში, წესიერად დაწყობაში, ისწავლოს ჩაქუჩის გამოყენება და ა.შ.

ამგვარი მოვალეობების სისტემური შესრულება ბავშვს განუვითარებს მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობას. თუ იგი დავალებებს კარგად შეასრულებს, აუცილებლად უნდა შევაქოთ, თუ კი რაიმე არ გამოუვა, არ უნდა დავუწუნოთ, არც უნდა გავკიცხოთ, არამედ ვაჩვენოთ, რა შეეშალა და დავეხმაროთ საქმის სწორად კეთებაში.

# ჭირთა თმენა

დ. იაკობაშვილის ფოტო



როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც არასდროს დავფიქრებულვარ პენსიაზე გასული ადამიანის ბედზე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ იგი ცხოვრებიდან მოწყვეტილად ითვლებოდა. თურმე ქრება ცხოვრების ის რითმი, რომელიც შენ გაფხიზლებს, გაცოცხლებს, დილას უნდა ადრე ადგე, ოჯახი მოაწესრიგო, შენ თავადაც უნდა ფორმაშიმოხვიდე, წახვიდე სამსახურში, დროზე მობრუნდე სახლში, ოჯახსაც ხომ უნდა მიხედვა?! თურმე ეს ყოფილა ცხოვრება. რა ვიცით, ამერიკას ბევრ რამეში ვბაძავთ, იქ თურმე პენსიონერი თავიდან იწყებს ცხოვრებას. თავს გრძნობს სრულიად საპატიო მოქალაქედ. გული არაფერზე წყდება. არც გართობა აკლია და არც პატივისცემა. ჩვენ კი რა: მარტო ოჯახის საქმით უნდა ვიყოთ გართული, აპრიალო იატაკი, ხეხო ქვაბები, მთელი დღე წინსაფარაფარებულმა ირბინო წინ და უკან, გაქრა შენი ლამაზად ჩაცმაზე ფიქრიც კი.

კარგია, გამოვნახე საშუალება, ცოტა ხნით მაინც ავარიდო თავი ამას ყველაფერს, ცოტა ხნით მაინც გავიდე ჰაერზე.

ჩემს წინ მშვენიერი სკვერია, სკვერი კი არა ბაღი, სადაც თავს იყრიან ჩემისთანა პენსიონერები. ღმერთმა გაახარა ყველა ისინი. მათგანაა, რომ დიდ შეღავათს ვგრძნობ, ისედაც შვილმკვდარი დედა, ოთახის კედლებში რომ ვეღარ ვპოვებ შვებას, ამ ბაღში გავდივარ. აქ ოჯახის ქალები გამოდიან, ერთმანეთს ემეგობრებიან, ეფერებიან და რაღაცნაირ განტვირთვას გრძნობენ. რამდენიმე საათს ერთად ვართ, ერთმანეთს ვართობთ.

მინდა ყველანი გაგაცნოთ.

ქ-ნი თინა. შეიძლება მას პირველობა წავართვა. იგი ამ ბაღის ,,პრეზიდენტადაა‘‘ აღიარებული. ყველაზე ადრე, დილის 8-საათიდან გამოდის და თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე ზომავს ბაღის სიგრძე-სიგანეს, შესაშური ნებისყოფითაა ცნობილი. ერთ დროს ახალგაზრდა, ლამაზი, ლაღი, ცნობილი მომღერლის მეუღლე, ქვეყანას სიმღერით და ცეკვით უვლიდა, სიცოცხლე უხაროდა, დაფრინავდა ხშირად თავის ბავშვობასაც მოიხსენიებს ხოლმე, როგორ უმღეროდნენ სკოლის გოგო-ბიჭები: ,,ჩვენი სკოლის წინაო, ჩერქეზია თინა‘‘-ო. დღეს წარსულის მოგონებით ცხოვრობს ჩვენი თინიკო. როგორ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ჯოხით ხელში ამ ბაღის ყოველდღიური სტუმარი გახდებოდა.

ქ-ნი ვენერა. მე მას თავისი მოზომილი სიტყვა-პასუხით ვაფასებ. სწორედ ასეთი უნდა იყოს ყოფილი მათემატიკოსი, მრავალი თაობის აღმზრდელი და მასწავლებელი, დღეს ისიც ამ ბაღის ყოველდღიური სტუმარია, ისიც ჩემსავით შვილმკვდარი დედაა, ისიც ამ ბაღით სულდგმულობს, ცდილობს თავისი მწარე განცდები წარსულში მოაქციოს, თბილი მოსაუბრე და მოუბარია.

ნანა. ო, ნანა ცელქი ბავშვივითაა, უცბად მოუსვენრობა შეიპყრობს, მოიწყენს, წარსულში გადავარდება. მე გიხვდები, ჩემო ნანა, ეს ის ტკივილია, შვილის უდროოდ დაკარგვამ რომ გარგუნა. ჩვენ ყველას სხვადასხვანაირად გვარგუნა ღმერთმა ამ ტკივილის ატანა: გულით გისურვებ დიდ მხნეობას და ვაჟკაცურ გამძლეობას.

ქ-ნი ცისანა. ყოველ დილას სპორტულ ტანსაცმელში გა-

მოწყობილი ვარჯიშობს, გული აწუხებს, აბა რა ქნას?! დამსახურებულ ექიმს, ვინ იცის, რამდენი ღამე უთენებია დისერტაციაზე მუშაობისას. იშრომა, იწვალა და ბოლოს რა? 20-ლარიანი პენსია ერგო, ამბობენ იანვრიდან 28 ლარი იქნებაო. ეს არაფერს ცვლის, ფასებიც ხომ კატასტროფულად იზრდება! მისი ახალგაზრდობის ფოტოსურათი რომ ვნახე, გაოცება ვერ დავმალე. ლამაზი კი არა ულამაზესი ყოფილა.

ქ-ნი ლეილა. მისი შეხედვისას იტყვის კაცი: აი ქალიო, ყველანაირი ქალური თვისებებითაა შემკული, სასიამოვნო გარეგნობა, სასიამოვნო საუბარი ამშვენებს.

ქ-ნი ლამარა – ორინფარქტგადატანილი. ღმერთმა ყოველთვის ასე გამარჯვებული გამოგიყვანოთ, ჩემო ლამარა. კაცი შორიდან რომ შეგხედავთ ამაყად თავაწეულ მოსიარულეს – იტყვის: ერთი ხელი რომ აწიოს, ვარსკვლავებს შეეჭიდებაო. ღმერთმა დიდი ხანი არ მოგიშალოთ ეგ გარეგნული შეხედულება და შინაგანი განწყობა.

ქ-ნი ნუნუ – ყოფილი ბალერინა. ჩემო ნუნუ, დღესაც გაქვს შერჩენილი გარეგნული სინატიფე და სინაზე, რაც შენს პროფესიას სჭირდებოდა. ბალეტით დაგიწყია და ექიმობით დაგიმთავრებია მოღვაწეობა. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს.

დროდადრო ჩვენს კოლექტივს შემოუერთდება ხოლმე ჩემი და ელენე, რომელიც არც ისე ახლოს ცხოვრობს, მაგრამ ამ ბაღში მოსვლით ძლევს სიმარტოვეს, რომელსაც ასე ძლიერ განიცდის. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი იყო ახალგაზრდობაში. რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტია. არ დარჩენილა რაიონი, რომ არ მოევლოს.

ორიოდე სიტყვა ჩემზედაც უნდა ვთქვა:

ჩემი ცხოვრება მარტოსულად გავატარე. მეუღლე მყავდა, რომელიც მიმტკიცებდა, რომ ძალიან ვუყვარდი, მაგრამ მე ვხედავდი, რომ ჩემზე ძალიან წიგნები უყვარდა. ჩემთვის არასდროს ეცალა. ის ჩემი სტუმარი იყო და მე მისი მასპინძელი. დილას წასულს საღამოს სტუმარივით შემოსულს ვხვდებოდი. ცხოვრებამაც დამჩაგრა, სიცოცხლით სავსე ცისფერთვალა, ქარიშხალა ბიჭი ნაადრევად წამართვა ღმერთმა.

ჰო და, მეც ამ ბაღის მუდმივი სტუმარი გავხდი. ადრე სამსახურით ვიყავი დაკავებული. მიყვარდა ყოველთვის ფორმაში ყოფნა, ლამაზად ჩაცმა, ალბათ ამიტომაც ზოგი „პარიჟანკას“ მეძახდა, ზოგი „მოდნიცას“. გეცინებათ არა?! ყველაფერს გეფიცებით, ასე იყო.

ყველა პენსიონერის თხოვნაა, ხელისუფლებამ უფრო გაგვიზარდოს პენსია, რომ არსებობა შევძლოთ. თანაც ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვა რომ დაიწყეს, იქნებ ჩვენს ბაღსაც მოაქციონ ყურადღება, რომელიც ნინო ჟვანიას სახელს ატარებს (იგი მეტრო დელისთანაა). ერთ დროს მას შადრევანი და ყვავილები ამშვენებდა, ახლა კი...

და კიდევ, შვილმკვდარ დედებს მუხათგვერდის სასაფლაოზე ყვავილი ვერ გაგვიხარებია უწყლობის გამო. ნუთუ ამის მოგვარება ასე ძნელია?

ჩვენი თხოვნის გულთან ახლოს მიტანისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

**ნუნუ გვარამაძე**

ფილმის პრეზენტაცია

# „37 გრადუსი“



● მსახიობი მაკა ჩანტლაძე

სამწუხაროდ, საქართველოში ფილმებს იშვიათად იღებენ. ამიტომ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა კინოთეატრ „რუსთაველში“ პრემირებული რეჟისორ თამარ სულამანიძის „37 გრადუსი.“ გადაჭედილი დარბაზი მაყურებელთა ინტერესზე მოწმობდა, ხოლო ფილმის დასრულების შემდეგ ოვაციებმა გადამღებ ჯგუფს გაწეული შრომა დაუფასა. მაყურებელმა ფილმი მიიღო.

**რა შეიძლება ითქვას „37 გრადუსის“ შესახებ?!** ფილმი გასული საუკუნის 70-იან წლების ვითარებას ასახავს. მკვეთრად არაა გამოკვეთილი ქვეყანა, სადაც მოქმედება წარიმართება. ფილმს არ აქვს ენა, რასაც წარმატებულად ცვლის მუსიკალური ფონი. „37 გრადუსი“ ირონიულ ჟანრს განეკუთვნება. სცენარი შექმნილია ადამიანის სულიერი მდგომარეობის, მისი ბედ-იღბლის წარმოსაჩენად. ამიტომ აქვს განსაკუთრებული დატვირთვა მაფიოზის კადრში გამოჩენას, რომლის მანქანაშიც იარაღის მთელ არსენალთან ერთად აშშ დოლარებით სავსე დიპლომატი აღმოჩნდება. ამას მოსდევს ფინალი, სადაც ყველაფერს მხიარული და ერთმანეთზე შეყვარებული წყვილი ეპატრონება. ეს საინტერესო რეჟისორული მიგნებაა.

ეკა ახობაძემ „37 გრადუსისთვის“ სპეციალურად დაწერა მუსიკა. ფილმში ორიგინალური მუსიკის გარდა გამოყენებულია ჯგუფების – „აუტსაიდერის,“ „ადრენალინისა“ და „სთრინგის“ კომპოზიციები. რობი კუხიანიძის „ძუძუ“ ლაიტმოტივად მიჰყვება მთელ ფილმს, როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, მუსიკის შერჩევაში რეჟისორს ძალიან დაეხმარა რადიო „მწვანე ტალღა.“ თამარ სულამანიძე ფილმის სცენარის ავტორი თავადაა, თანასცენარისტი კი გოგა ცხვედიანი გახლავთ. ოპერატორია თამაზ გოგინაშვილი. დამდგმელი მხატვრები გელა კინწურაშვილი და ომარ ქელბაქიანი არიან. ხმის რეჟისურაზე მუშაობდნენ თამაზ მჭედლიშვილი და ვატო ვარაზი (რადიო „მწვანე ტალღის“ დიჯეები). ოპერატორის ასისტენტები იყვნენ გიორგი გოგინაშვილი, გიორგი ასაშვილი და დავით სიხარულიძე. რეჯისორის პირად ასისტენტს ქეთი ხვედელიძეს, რეჟისურის ფაკულტეტის სტუდენტს, კინოხელოვნებაში პირველ ნაბიჯს ვულოცავთ.

ფილმის მთავარი გმირი მსახიობი დათო როინიშვილია. დიდ ეკრანზე სურათის ნახვის შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მისი როლი არაჩვეულებრივად იყო შესრულებული. მამაკაც პოლიციელს გეგა ფალიანი განასახიერებს, ხოლო ქალ პოლიციელს – ქეთი კოლხიდელი. თავად 80 ფილმის ავტორია და 6 ვაჟიშვილის დედა. მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება, რომელიც, როგორც უფროსი კოლეგა, რეჟისორ თამარ სულამანიძეს „37 გრადუსის“ გადაღებისას პროფესიულ თანადგომასაც უწევდა. მაფიოზის როლის შემსრულებელია ამირან შარმანაშვილი. გარდა ამისა, ფილმში შედგა დავით ლომიძისა და მაკა ჩანტლაძის – შეყვარებული წყვილის დებიუტი.

**რა გზა განვლო რეჟისორმა თამარ სულამანიძემ?** „37 გრადუსის“ ავტორისთვის 13 რიცხვი სიმბოლური აღმოჩნდა. სწორედ ამდენი დღე მიდიოდა ფილმის გადაღებები და იგი რეჟისორის მე-13-ე ნამუშევარია. თამარ სულამანიძემ განათლება ამერიკაში მიიღო, იგი ახალგაზრდა კინორეჟისორთა კონკურსის – „სესილის“ ლაურეატი ფილმით „პარად ამური“ გახდა და წარმატებით კიდევ მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალი მოიარა.

იმედია, მოდის თაობა, რომელიც ქართულ კინოში კრიზისს დასძლევს, მაყურებლებს კიდევ მრავალი საინტერესო ნამუშევრით გაგვანებივრებს და მსოფლიოშიც აღიარებას მოიპოვებს.

**თამარ ნინიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნებ...

ოთახის ღია კარში შემოჭრილი ორპირი ქარი თოვლის ფანტელს ციბრუტივით ატრიალებდა. თავდახრილი მიხაკები ერთმანეთს უსამძიმრებდნენ. ტიროდა ჭირისუფლად დანთებული სანთელი... სუდარაგადაფარებულ ცხედართან ჩურჩულით მოთქვამდა შაოსანი ქალი:

– რომელი ერთი გითხრა... მრცხვენია, ხალხს სიმართლე გავაგებინო. ჩემი შვილების მამა იყავი... შენს მეუღლედ ვითვლებოდი, სინამდვილეში კი დიდი ხანია, რაც ერთმანეთისთვის აღარ ვარსებობდით. ჩვენ მდინარის სხვადასხვა ნაპირზე ვცხოვრობდით. ჩვენს შორის დიდი მთა აღიმართა, – თოვლიან – ყინულიანი, თვალშეუდგამ – გზამიუვალი... ჩვენს თავზე საავდროდ მოქუფრული შავი ღრუბელი გაჩნდა, ჩემსკენ მაცქერალი მზერა გაგიელამდა... სიკვდილისთვის მენანები, მაგრამ მიხარია, რომ ამჯერად აღარსად მიგეჩქარება და მომისმენ. ჰო, მჯერა, რომ გესმის ჩემი, რამეთუ შენი სული ჯერაც გარს დასტრიალებს გაყინულ სხეულს შენსას. მინდა გკითხო, ნუთუ ერთხელ მაინც არ გიფიქრია, რომ მე ქალი ვიყავი და ისე, როგორც ყველა ქალს, მჭირდებოდა თბილი სიტყვა, თანადგომა, თანაგრძნობა?... სიმარტოვის ცხრაკლიტულში დავავანე წყაროს წყალივით წმინდა, უმწეო ფოთოლივით აცახცახებული, თოვლივით სპეტაკი დაუხარჯავი გრძნობა. ჰოი, რამდენი ღამე გამითენებია თეთრად შენს მოლოდინში... ჰოი, რამდენჯერ მომნატრებიხარ... რამდენჯერ წარმომისახვიხარ მთვარის ლიცლიცა ნათელში... რამდენჯერ ავდევნებივარ შენს ნაკვალევს... რამდენჯერ გაბმულხარ ჩემს ლექსებში მკვნესარე სიმებად... ჰოი, რამდენჯერ მომლანდებიხარ ფიქრის მერანზე ამხედრებული... რამდენჯერ მომიჩუქურთმებიხარ გულისგულში სულის ფრთით მოხატულ ფრესკად!... მენანები, ძალიან მენანები სიკვდილისათვის. გამოღმით მე ვიყავი და გაღმით შენ, მაგრამ იდუმალი იმედი იყავი ჩემი, შენი აჩრდილი მაძლიერებდა და მათბობდა თითქოს. ახლა?... სულჩანავლული და ფრთებდამსხვრეული ვარ, თითქოს დაფლეთილ აფრადასუდარებული.

იქნებ მეც მიმიძღვის შენთან ბრალი?... იქნებ...

# წინასწარმეტყველება

ჩემმა ნოდარმა თბილისში ბინა იყიდა, მალე გადავლენ საცხოვრებლადო. მიხარია, კარგია ქალაქი. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ მე შენ მებრალები, დეიდა კატო. ხალხმრავალ ოჯახში ხარ ცხოვრებას მიჩვეული. შენი ეზო-კარი, დღეს რომ ჟრიამული იკლებს, ხვალ დადუმდება. მარტო დარჩები, დუმილში გამოკეტილი. შვილების მოლოდინში გაზოზინებული დრო დაგლლის, სხვა რომ არა იყოს რა. შეგპირდებიან, ყოველ შაბათ-კვირას ჩამოვალთო. არ დაუჯერო. ქალაქი სამოთხეა. ვინც იქ მიდის, უკან აღარავინ ბრუნდება.

ძალიან რომ დაბერდები, წაყვანას შემოგთავაზებენ. დიდ უარზე დადგები, მაგრამ ბოლოს მაინც დაგითანხმებენ, რადგან თავს ზემოთ ძალა აღარ გექნება. გაჰყვები, მაგრამ ვაი, იმ გაყოლას! გალიაში გამომწყვდეული, თავისუფლებადაკარგულ ფრინველს დაემსგავსები. შენი კერა, კარ-მიდამო მოგენატრება გაზაფხულის ათქვირებული სიტურფით, ზაფხულის თაკარა მზის მცხუნვარებით, ოქროსფერი შემოდგომის დამათრობელი სურნელებით, გადასპეტაკებული გრძელი ზამთრით, მამლის ყივილითა და მურიას წკავწკავით. ხმაურიანი, მაგრამ კარჩაკეტილი, გულცივი ქალაქი ვერ შეგიყვარებს იმ სიყვარულით, შენს თანასოფლელებს და მეზობლებს რომ უყვარხარ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენი ნაამაგარი სახლის სამზერიდან ამწვანებული ველ-მინდვრის ცქერა ერთ სიცოცხლედ ღირს.

მერე?

ფიქრთა ჭიდილში დაბერდები, გაილევი და მოგივა კიდეც აღსასრულის ჟამი...

# მადლობელი ვარ შენი, უფალო!

სულით, სხეულითა და გონებით შემმოსე, სიკეთით დამაჯილდოვე, სიყვარული მასწავლე, დედა-შვილობას მაზიარე, მშვენიერი, ცოცხალი სამყარო მახილვინე, ანგელოზის ენაზე ამამეტყველე, დიდი უბედურებაც დამანათლე... ცეცხლის ალში გამხვიე, ცრემლის ზღვაში დამასახლე და მაინც მადლობელი ვარ შენი, უფალო, ჩემი ამ ქვეყნად ქალად გაჩენისათვის.

**თამარ ბურნაძე-წიწიკაშვილი**

# ადამიანის მორთვა – მოკაზმულობის ისტორიიდან

კოსტიუმზე საყელოს მიკერება პირველად ევროპაში შემოიღეს XVI საუკუნის მეორე ნახევარში.

ძველ საბერძნეთსა და რომში საყელოს არ ხმარობდნენ.

* * *

XVII საუკუნეში ცხვირსახოცი მორთვა-მოკაზმვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი გახდა.

მისი ფორმა სხვადასხვა იყო: ლუდოვიკო XVI დააწესა, რომ სამეფო სასახლეში ცხვირსახოცის სიგრძე და სიგანე ერთნაირი უნდა ყოფილიყო.

მას შემდეგ ცხვირსახოცმა კვადრატის ფორმა მიიღო.

* * *

ძველ რომში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მორთულ-მოკაზმული ქამრები.

მდიდრები თავიანთ ქამრებს რთავდნენ ქარვით, ლალით, სხვადასხვა ძვირფასი ქვებით.

ომში თავშერცხვენილ მებრძოლს სახალხოდ ხსნიდნენ ქამრებს; ეს ყველაზე დიდ დამცირებად ითვლებოდა.

* * *

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სავარცხელი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა.

სავარცხელს შემდეგ არა მარტო თმების დასავარცხნად იყენებდნენ, არამედ იგი ერთგვარ მოდურ სამკაულსაც წარმოადგენდა.

სხვადასხვა ბრჭყვიალა ფერის სავარცხლები განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა შუა საუკუნეების ესპანეთში.

* * *

ბეჭდებით უხსოვარ დროიდან ირთვებოდნენ ადამიანები. ძველ ეგვიპტეში ბეჭედი არა მარტო მოსართავი იყო, არამედ ფულის დანიშნულებაც ჰქონდა.

ლითონის ბეჭდებში შემდეგ თანდათან გაჩნდა ბრილიანტის და სხვა ძვირფასი ქვების თვლები.

# მორთულობა და სამოსელი

კაცთა მოდგმამ მორთულობა უფრო ადრე მოიგონა, ვიდრე სამოსელი. ველურები ძლიერ ფიზიკურ ტანჯვას იტანდნენ ლამაზი ტატუირებისათვის. ჰუმბოლდტის ცნობით ორინოკოს შტატის ინდიელები სრულიად გულგრილნი არიან იმ ყოველივესადმი, რაც მათ არსებობის ხელსაყრელ პირობებს უქმნის და მზად არიან იმუშაონ მთელი კვირა თავიანთი სხეულის მოსახატავად საჭირო საღებავისათვის ფულის საშოვნელად. ამ ტომის ქალი, რომელიც თამამად გამოდის ქოხიდან ტანსაცმლის ყოველგვარი ნიშნების გარეშე, ვერ გაბედავს დადგენილი ადათ-წესების დარღვევას და არავის ეჩვენება ტატუირების გარეშე. მოგზაურები გვამცნობენ, რომ ფერადი მძივები და ბრჭყვიალა სამშვენისები ველურ ტომთა შორის კოლენკორსა და მაუდზე მეტად ფასობს. არსებობს ისტორიული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოფენდნენ ხოლმე სხვათა სახილველად მზის გულზე ველურები მათთვის თეთრკანიანთა მიერ ნაჩუქარ ხალათებსა და ტანსაცმელს, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მორთვა-მოკაზმვის იდეა ადამიანთათვის უპირატესია. კაპიტანი სპიკი წერს მოგონებებში აფრიკელ მეგზურებზე, რომლებიც მედიდურად სეირნობდნენ მზის გულზე თხის ტყავის ქურქებით მორთულნი, ნესტიან ამინდში კი უფრთხილდებოდნენ რა ამ სამოსელს, საგულდაგულოდ ინახავდნენ მას და შიშველ-ტიტველნი, სიცივისაგან ათრთოლებულნი იარებოდნენ წვიმის ქვეშ.

თუკი გავიხსენებთ, რომ ახლაც არაერთი ადამიანი უფრო მეტად ზრუნავს მატერიის სინატიფეზე, ვიდრე მის გამძლეობაზე, უფრო მეტად აფასებს სამოსის ლამაზ თარგს, ვიდრე მის გამოსადეგობას და მოხერხებულობას. მაშინ ვირწმუნებთ, რომ ძალიან ხშირად სარგებლიანობა მსხვერპლად ეწირება გარეგნულ სილამაზეს, ეს კი გვაძლევს ყველა საფუძველს იმისა, რომ დავასკვნათ: მორთულობა ადამიანთა ცხოვრებაში გაჩნდა სამოსელზე გაცილებით ადრე.

**ჰერბერტ სპენსერი**

# უსიტყვოდ









საქართველოს პარლამენტის ეროვნული

# გორაკის გველი

## ნამდვილი ამბავი

ზაფხულის ცხელი დღეა. სოფლის ორღობე გავიარე. ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე და ერთმანეთს გადაჭდობილი, ამწვანებული გორაკებისკენ გავეშურე.

აღმართს შევუდექი. ხასხასა მწვანე ბალახებში გაბნეულ ლურჯ ყვავილებს მიველერსე, გორაკის ფერდობთან ჩარიგებულ ჯუჯა ბუჩქებში მყუდრო ადგილი მოვძებნე. ჩალის საფენი გავშალე და ზედ მოვიკალათე. წიგნის კითხვამ ისე გამიტაცა, რომ ვერ შევნიშნე მზე ბუჩქებს როგორ წამოადგა, ის იყო ადგილის შეცვლა განვიზრახე, რომ ორი მწვანე თვალის მზერა დავიჭირე... ერთ ადგილზე გავშეშდი. ჩემს მოპირდაპირე მხარეს სულ რამოდენიმე ნაბიჯზე ჭრელი გველი დახვეულიყო, თავი აეწია და გაქვავებული მომჩერებოდა... მუხლები მომიდუნდა... გული ამიჩქარდა, არ ვიცოდი დავმჯდარიყავი თუ გავცლოდი იქაურობას. ის კი მიცქერდა დაჟინებული, ამოუცნობი სახით. შუბლი ოფლის წვეთებით დამენამა, მუხლებში თითქოს წყალი ჩამიდგა. ტანში გამცრა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. საფენზე მოწყვეტით დავეშვი.

– გველმა თავი უფრო ასწია, ზურგზე გაწოლილი ზოლი მზეზე აალაპლაპა და ისევ გაშეშდა.

– ოდნავ დავმშვიდდი, რადგან ადგილიდან არ იძვროდა. იმას კი ვგრძნობდი, რომ მისი ტყვე ვიყავი და ვერსაით ვერ გავეცლებოდი.

– რა მინდოდა, რატომ წამოვედი ამ სიცხეში, მერე რა, რომ მთელი ბავშვობა აქ გავატარე. აი, ხომ ვხედავ, საკმაო წლები გავიდა და შხამიანი გველებიც კი გაჩენილან. ახლა როგორ დავშორდე ამ წყეულს, ვკიცხავდი ჩემს თავს. კვლავ იმ ბუჩქისკენ გავიხედე... ჩემი მტერ-მოყვარე ისევ ჯიუტად მომშტერებოდა. უცებ ბალახის შრიალი და წვრილი ქვების ხმაური მომესმა.

გველის სიახლოვეს მდგარი ბუჩქიდან ორი მწვანე ხვლიკი გამოსრიალდა; ერთმანეთს შეეჯახნენ, წინა დაგვაჯულ მოგრეხილ თათებზე წამოიმართნენ და ჩემი სამყოფელისკენ აიღეს გეზი. – გველი აღიმართა, გრძელი კუდი ჰაერში მოიქნია და შოლტივით გადაუჭირა ხვლიკებს.

ერთ მათგანს წელი გადაუწყდა, მეორეს კი თავი გაეჩეჩქვა. ეს უკანასკნელი გულაღმა გადატრიალდა, თეთრი მუცელი მზეზე აილანძა და პირდაღებული სამუდამოდ გაშეშდა. – მე თვალთ დამიბნელდა, ვიფიქრე, ახლა ჩემი ჯერიც მოვიდა მეთქი და სახეზე ხელები ავიფარე. სამარისებურ სიჩუმეში ჭრიჭინობელას ხმა ჩამესმა, ხელები ნელ-ნელა ჩამოვაცურე და ბუჩქისკენ გავაპარე თვალი.

გველი თავის ადგილს დაბრუნებოდა და ძველებურად მომჩერებოდა.

თავი ჩავღუნე, გაურკვეველ ბურუსში ჩავიძირე...

ამდენი ღელვისა და განცდისგან წუთით ჩამთვლიმა. თვალებზე ხელი გადავისვი. ბუჩქს დავაკვირდი და სიხარულისაგან კინაღამ ვიკივლე – გველი იქ აღარ იყო.

ის იყო წამოდგომა დავაპირე, რომ ისევ ადგილს მიველურსმე. მოშორებით, ჩემს მარცხენა მხარეს პატარა ბუჩქთან მოკალათებულა და თავაღებული მომჩერებია.

– სიზმარია თუ ცხადი? ეს რა თვალებია? სად გაქრა ის გაქვავებული მზერა? ამ წყეულის თვალებში თითქოს სითბო და სიხარული იგრძნობა... თფუი, ლამაზიც რომ მეჩვენება? ვაკვირდები მის აჭრელებულ სხეულს და მუხლები ისევ მიკანკალებს. ტყუილა კი არ უთქვიათ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო – მგონი შევეჩვიე კიდეც.

უკვე ბინდი ჩამოწვა. ორი მწვანე თვალი კი ჩემი საბოლოო დასკვნით უკვე ალერსიანად მიცქერდა.

უნდა წავიდე, აქ ხომ არ გავათენებ ღამეს, – ვთქვი და წიგნი ავიღე. ჩემმა მტერ-მოყვარემ სხეული ზამბარასავით შეკუმშა და ნელ-ნელა თავი მიწაზე დაუშვა. თითქოს მანიშნებდა, მე არაფერს გერჩი, შენს გზაზე წადიო. რამოდენიმე ნაბიჯი უხმაუროდ გადავდგი, თან უკან ვიხედებოდი – ბოლოს გაბედულად წავედი სახლისკენ.

* * *

ის ღამე ძილ-ღვიძილით გავათიე. ჩაძინებული იმ გორაკზე ვიმყოფებოდი და ვკრთებოდი.

შუადღისას რეზინის ჩექმებით გამოწყობილი გავემართე ჩემი გორაკებისკენ. ახლა სხვა მხარეს და სხვა ადგილას დავიდე ბინა. კითხვა განვაგრძე. ხშირად თავს ვწევდი და ბუჩქებს ვაკვირდებოდი, და აი, სულ ახლოს პატარა ტოტებშემომტვრეულ, სანახევროდ გადამხმარ ბუჩქთან ჩემი მტერ-მოყვარე დავინახე. ახლა უკვე შიშისგან კი არა, გაოცებისგან გავშეშდი. ეს აქ საიდან გაჩნდა? ხრიოკ ბილიკებს მოვყვებოდი და ირგვლივ სიმყუდროვეს არაფერი არღვევდა. წიგნი დავხურე, გავხედე. ის სითბოჩამდგარი, თან თითქოს სევდიანი თვალებით მაკვირდებოდა. თითქოს ამბობდა: ეს გორაკები სულ რომ მოიარო, მაინც მოგნახავო. გასამხნევებლად სიმღერა წამოვიწყე – პირველად ხმა მიკანკალებდა... მერე კი თავისუფლად ავმღერდი. იგი წამოიმართა, თავი უფრო მაღლა ასწია და შუაწელამდე აღმართული გაშეშდა. მე ხმა ჩამიწყდა, ვიჯექი და ვფიქრობდი, როდის ჩაღუნავდა თავს, რომ ჩემს გზას დავდგომოდი. მზე რომ ჩავიდა, ტანი შეკუმშა, თავი დაღუნა. მივხვდი, სახლში წასვლას მთავაზობდა. მეორე დღეს ქალაქში წამოვედი, სამსახურში მიბარებდნენ.

* * *

ერთი თვე გავიდა – სოფელში წავედი – ახლა უკვე ინტერესისათვის გავემართე ჩემი გორაკებისკენ.

მიდამო მოვათვალიერე, ბუჩქებს ჩავუარე, გაბედულად მივიწევდი წინ, აი, ის ბუჩქიც, საიდანაც ბოლოს წამოვედი... მივუახლოვდი და რას ვხედავ... იქ, სადაც ვიჯექი ბუჩქთან ... უზარმაზარი შავ ზოლებიანი გველი უსულოდ ეგდო მიწაზე და თითქოს ვიღაცას ელოდებაო, თავი ისე ჩამოედო ბუჩქის გამხმარ ტოტზე.

**ქეთევან მაზიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე აფთიაქი

**ადამიანი უხსოვარი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა სასარგებლო მცენარეების გამოძებნა-გამორჩევას და შემდეგ ზეპირი სახით გადასცემდა შთამომავლობას ცნობებს მათი სარგებლიანობის შესახებ. ამის შედეგად შეიქმნა პირველი სამედიცინო წიგნები და უამრავი დაავადების სამკურნალო წამალი.**

## მარწყვი

მარწყვი – ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი 5-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახია.

მარწყვი უხვი ღალისმომცემი თაფლოვანი მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი და ღერო – ფოთლებიც. აგროვებენ ივნის-ივლისში.

მარწყვის ფოთლების ნახარშს ხმარობენ პირში გამოსავლებად, პირის ღრუში ცუდი სუნის მოსასპობად, სვამენ კუჭ-ნაწლავის ანთებისა და ღამით ოფლიანობის დროს. აგრეთვე კუჭაშლილობის სამკურნალოდ, შარდმდენად და მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

ნახარშის მომზადება: 1 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ხმელ ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და 15-20 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. ამ დოზას მიიღებთ ერთი დღის განმავლობაში 3-ჯერ.

ბულგარეთში ფოთლების ნახარშს იყენებენ ნაღვლის ბუშტის, თირკმელების და საშარდე ბუშტის კენჭოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ. მარწყვით მკურნალობენ ელენთასა და გასტრიტს.

ბოლო წლების კლინიკური შესწავლით გამოირკვა, რომ ფოთლების ნახარში დღეში 6-ჯერ მიღებისას (ერთ მიღებაზე 2-3 სუფრის კოვზი) დადებითად მოქმედებს ხორხის კიბოს დროს, მკურნალობის სხვა საშუალებებთან ერთად.

მარწყვი კარგია ჰიპერტონიის, კუჭაშლილობისა და ფაღარათის დროს.

## მოცვი

მოცვი – მანანისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მოცვი დაბალი 15-29 სმ სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია, ნიადაგში ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვებითა და წიბოებიანი მწვანე ყლორტებით. ყვავის მაისიდან ივნისამდე, ნაყოფი ივლის-აგვისტოშია. გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში.

მოცვის ნაყოფი შეიცავს 12-77 პროცენტამდე მთრილავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავას. 6 პროცენტამდე შაქარს, 10-75 პროცენტამდე ვიტამინ C-სა და A-ს. ფოთლებშიც ნაპოვნია მთრილავი ნივთიერებები, არბუთინი, გლიფოზიდები, რომელთაც ინსულინის მსგავსი მოქმედების თვისება გააჩნიათ.

ხალხურ მედიცინაში მოცვის ნაყოფი შემკვრელი თვისებითაა ცნობილი, ყელის ტკივილის, გემაროიდული სისხლდენის, თირკმელების კენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარების და რევმატიზმის სამკურნალოდ.

ნაყოფს იყენებენ კისელის, სიროფის, მურაბის, ღვინის და ლიქიორის დასამზადებლად.

ფოთლების ნახარშს იყენებენ დიაბეტის სამკურნალოდ. ფოთლებში არსებული გლუკოზიდი მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას.

ხალხურ მედიცინაში მოცვის ნაყოფი აღიარებულია კუჭის კატარის სამკურნალოდ. კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს, აგრეთვე კუჭნაწლავის ქრონიკული აშლილობისას, თირკმელების კენჭოვანი დაავადების, სისხლდენის, ანგინის, პირის ღრუს ანთების, ასევე ქერცლოვანი სირსველის სამკურნალოდ.

მოცვის ბევრი მიღება დადებითად მოქმედებს ნიკრისის ქარების, რევმატიზმისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს. მხედველობის გასაუმჯობესებლად ნაყოფის სპირტზე ნაყენს იყენებენ.

ფოთლები შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდებს, მარგანეცს, რკინას, ალუმინს, ქრომს, ვერცხლს, ბარიუმსა და ტყვიას, ფოთლებს იყენებენ წყალმანკის, თირკმელების, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებებისას და ამავე დროს, მას ინსულინის მსგავსი მოქმედება აქვს.

შაქრიანი დიაბეტის დროს კარგია მოცვის ფოთლების ჩაი (60 გრ 1 ლიტრ მდუღარე წყალზე), ხოლო ბუასილის სისხლდენის დროს (60 გრ ფოთოლი 1 ლიტრი ადუღებულ წყალზე).

**წითელი მოცვი** – მანანისებრთა ოჯახში შედის. მარადმწვანე 10-25 სმ სიმაღლის ბუჩქია. ნაყოფი წითელწვნიანი კენკრაა, ყვავის მაის-ივნისში, მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

წითელი მოცვი მაღალმთიანეთის და ჩრდილოეთის მცენარეა. საქართველოში ალპურ სარტყელშია გავრცელებული.

შაქრების შემცველობა წითელი მოცვის ნაყოფში 12 პროცენტამდე აღწევს. ბენზოინის მჟავის არსებობა განაპირობებს ნაყოფის ხანგრძლივი შენახვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, მასში შედის 0,3-0,4 პროცენტი მთრილავი ნივთიერებები და C ვიტამინი. ფოთლები არბუტინს შეიცავს.

მედიცინაში წითელი მოცვის ფოთლები გამოიყენება შარდდენის გასაძლიერებლად, უმთავრესაც თირკმელების კენჭოვანი დაავადებებისას. უნიშნავენ აგრეთვე რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ. ნაყოფს ავიტამინოზის, რევმატიზმის და ჰიპერტონიის დროს ხმარობენ.

ტიბეტურ მედიცინაში წითელი მოცვის ფოთლის ნახარშს და ფხვნილს სიცხის დასაწევად, წითელას დროს და ზოგჯერ კუჭის წვენის სიმჟავის შესამცირებლად იყენებენ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წითელი მოცვის ნაყოფის ექსტრაქტის მიღებისას სისხლში შაქრის შემცველობა საგრძნობლად მცირდება, რაც მისი დიაბეტის სამკურნალოდ გამოყენების შესანიშნავი საშუალებაა.

ამ ბოლო წლების გამოკვლევებით კი დადგინდა, რომ წითელი მოცვის ნაყოფის ხანგრძლივი ჭამა კარგ შედეგს იძლევა სახსრებში მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

## მოცხარი

**შავი მოცხარი** – ხურტკმელისებრთა ოჯახში შედის, 1,5მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი აგვისტოში მწიფდება.

ნაყოფი შეიცავს 10-13 პროცენტ შაქრებს, 3,7 პროცენტ თავისუფალ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, ღვინის) 1 პროცენტამდე პექტინს, მთრილავ და საღებავ ნივთიერებებს P, B და A ვიტამინებს. განსაკუთრებით მდიდარია C ვიტამინით. ამ მხრივ იგი მხოლოდ ასკილს ჩამორჩება. ნაყოფი იჭმევა ხილად, ხარშავენ მურაბას, ხილფაფას, კისელს, კომპოტს და გამაგრილებელ სასმელებს. მაღალ ტემპერატურაზე ვიტამინი C იშლება, ამიტომ შესანახად შაქრის ფხვნილს ურევენ და ისე ინახავენ.

შავი მოცხარის ნაყოფი და ფოთლები გამოიყენება ავიტამინოზის დროს. ხალხურ მედიცინაში ნაყოფს იყენებენ ოფლმდენ, კუჭაშლილობის და შარდმდენ საშუალებად; ფოთლებს კი რევმატიზმის და დიათეზის საწინააღმდეგოდ.

შავი მოცხარის ნაყოფი კარგია სისხლნაკლულობის, მადის გასაძლიერებლად და ხველების დროს. კარგია ნაყოფის, ფოთლების და ქერქის ნაყენი ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ყივანახველის და საშარდე ბუშტის დაავადებებისას, ხოლო კუჭის წყლულის სამკურნალოდ ნაყოფის წვენს სვამენ, დაახლოებით 60-90 გრ-ს დღეში 3-ჯერ.

**ჟოლო** – ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ნახევრადბუჩქი 1,5 მ სიმაღლისაა. ნაყოფი წითელია და ძალიან გემრიელი, სასიამოვნო სურნელის. მწიფდება აგვისტოში.

ნაყოფი შეიცავს 10 პროცენტამდე შაქარს, 2 პროცენტამდე ორგანულ მჟავას, C, A, B ვიტამინებს. მისგან ამზადებენ მურაბებს, სიროფებს, მარმელადს, ლიქიორს, ღვინოს. გამაგრილებელ სასმელებს.

გაციების დროს ოფლის მოდენის მიზნით დაამზადეთ ნაყენი: 2 სუფრის კოვზ ხმელ ნაყოფს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, 20 წუთის შემდეგ გაფილტრეთ და 2 ან 3 ღვინის ჭიქით დალიეთ 1-2 საათის განმავლობაში.

ჟოლოს ფოთლებში აღმოჩენილია ნაწლავების და საშვილოსნოს მუსკულატურის მასტიმულირებელი და სპაზმოლიტური მოქმედების ნივთიერებები.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნახარშს იყენებენ ხველების, ყელის ტკივილის, ციებ-ცხელების დროს, ხოლო გარეგან საშუალებად გამოიყენება ფერისმჭამელისა და მუწუკების მოსაშორებლად. ყვავილების ნახარშით კი წითელ ქარს (როჟა) და თვალის ანთებას მკურნალობენ.

ტიბეტურ მედიცინაში ფოთლების ან ნაყოფის გამონახარშს მიიჩნევენ ნევრასტენიის სამკურნალო და სიცხის დამწევ საშუალებად.

მომზადებულია **შ. ხიდაშელისა** და **ვ. პაპუნიძის** ნაშრომის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა 2005



ახალი წლის ზამთრის სეზონზე ქურქებისა და ნახევარქურქების ნაცვლად მოდაშია ფუმფულა ბეწვით გაწყობილი პალტოები, კოსტუმები, კაბები...





ეროვნული ბიბლიოთეკა



# თანამედროვე რომ იყო, გახდი ძველი მოდის მიმდევარი

შეერთებული შტატების სამხრეთში დრომ თითქოს სვლა შეანელა. ჩრდილოეთისა და დასავლეთისაგან განსხვავებით, სამხრეთმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა ის ძირითადი, რამაც განაპირობა შტატების შექმნა: რწმენა ღვთისადმი, ოჯახური ღირებულებებისადმი და პურიტანული მორალისადმი. აქაური მამაკაცები თავაზიანნი და გულადნი არიან. ქალები კი – ამაყები და ქალურები. ჩრდილოეთელები ერთგვარი დაცინვითაც კი მოიხსენიებენ სამხრეთელთა ჩვეულებებს – მათ დიდ საოჯახო ზეიმებს, რომელზეც მთელი ნათესაობა იყრის თავს (ზოგჯერ 200 ადამიანი), მათ ერთგულებას ეკლესიისადმი, ტრადიციებისადმი და წყნარი ცხოვრებისადმი. სამხრეთელებს კი ეს სულაც არ აღელვებთ, ისინი თვლიან, რომ სჯობს ძველი მოდისანი იყვნენ და დატკბნენ ცხოვრების იმ მშვენიერებით, რითაც მათი წინაპრები ტკბებოდნენ.

ნაღდი სამხრეთელი არასოდეს არ გაცვლის მიყრუებულ სამხრეთში „ხელმომჭირნედ“ ცხოვრებას ნიუ-იორკის ბრწყინვალე ცხოვრებაზე.

სამხრეთში უფრო სტაბილური ოჯახებია. აქაური დიასახლისები ძირითადად შესანიშნავად ამზადებენ კერძებს, უვლიან სახლს. მამაკაცები, როგორც წესი, კარგი მეოჯახენი, ამასთან, ნამდვილი ჯენტლმენები არიან. გასაკვირი არაა, რომ აქაურებისათვის ქორწინება თვითმიზანია, რისთვისაც თითქმის ბავშვობიდან ემზადებიან. ბიჭებს ასწავლიან თავიანთი მოქმედებებისადმი პასუხისმგებლობასა და გოგონების პატივისცემას, გოგონებს კი კარგ მეუღლეებად და საპატივცემულო ქალბატონებად ზრდიან.

მომავალი საოჯახო ცხოვრებისათვის შვილების მომზადება ჩვეულებრივ მშობლების მოვალეობაა, მამები ამას თავიანთი მაგალითით ახერხებენ. დედები კი გოგონებს იმ „ქალურ საიდუმლოებებზე“ ესაუბრებიან, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა.

რა საიდუმლოებებია ისეთი, სამხრეთელ ქალებს ასეთ მომხიბვლელობას რომ ანიჭებს? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ძველმოდურობაა, რომლისაც ასე ეშინიათ თანამედროვე ქალებს.

სწორედ ამიტომ გთავაზობთ იმ ძველმოდურ წესებს, რომლებსაც ასეული წლები მასიურად იყენებდნენ ქალები.

**წესი 1**

არასდროს არ გამოიჩინო ინიციატივა. ძალიანაც რომ მოგეწონოს მამაკაცი, არავითარ შემთხვევაში პირველად შენ არ ეცადო გაცნობას. ამისთვის არც რაიმე საბაბი არ გამოიყენო და არც გამართლება ეძებო, თითქოს „მას ერიდება პირველი მოვიდეს შენთან“. სიმართლე თუ გინდა, მამაკაცი როცა ინიციატივას არ იჩენს, ჩანს მას ასე სურს.

**წესი 2**

პირველმა არასდროს დაურეკო მამაკაცს და არ დაუნიშნო პაემანი. ეს მამაკაცის მოვალეობაა. იგი თავს უკეთ გრძნობს, როცა ქალი მას ინიციატორად და ორგანიზატორად თვლის. ნუ წაართმევ ამ უპირატესობას.

**წესი 3**

არ წახვიდე ბოლო წუთს შემოთავაზებულ პაემანზე. დააფასე შენი თავი და დრო. თუ მას გულწრფელად სურს შენი ნახვა, კეთილი ინებოს და წინასწარ დაგინიშნოს დრო (ორი დღით ადრე...) არ აგრძნობინო, რომ შენ ყოველთვის გცალია მისთვის, მართლაც რომ გეცალოს. თუ ქალი ყოველთვის მზადაა პაემანზე წასასვლელად, მამაკაცი მას, როგორც წესი, თადარიგში იტოვებს.

**წესი 4**

ნუ მოუყვები მას ყველაფერს შენს შესახებ, განსაკუთრებით შეხვედრის პირველ ხანებში. მოერიდე მასთან შენს პრობლემებზე, ყოფილ თაყვანისმცემლებზე ანდა ყოფილ ქმარზე საუბარს. შეხვედრისას შენ ბედნიერებით უნდა ბრწყინავდე, იყო თვითდაჯერებული და არ ფიქრობდე პრობლემებზე.

**წესი 5**

ყოველთვის პირველმა დაამთავრე ტელეფონით საუბარი და პაემანზე ყოფნა. ეცადე მისთვის მხოლოდ ცოტა ხნით მოიცალო.

**წესი 6**

დაუმალე, რომ მზად ხარ ცოლად გაჰყვე. პირველმა ხუმრობითაც კი არ წამოიწყო გათხოვებაზე ლაპარაკი. შენ უნდა აგრძნობინო, რომ თავს დაჯერებულად, ბედნიერად და დამოუკიდებლად გრძნობ. ბევრად უფრო აუტანელია უცოლო მამაკაცი, ვიდრე ქალი, რომელსაც ძალიან უნდა გათხოვება.

**წესი 7**

ნუ შეეცდები მოექცე მისი გავლენის ქვეშ და ნურც მის გარდაქმნას მოინდომებ. ფხიზლად იყავი. პაემანი იმისთვისაა, რომ ქორწინებამდე უკეთ გაიცნოთ ერთმანეთი. თუ არ მოგწონს მისი უხეშობა, ღვინისადმი სიყვარული და ა.შ. დაივიწყე იგი. გახსოვდეს, რომ ქორწინების მერე არავინ ხდება უკეთესი. თუ შეატყვე, რომ შენი პარტნიორი სხვა ქალებს ეარშიყება, ათჯერ იფიქრე, სანამ მასთან სერიოზულ ურთიერთობას გააბამ. კაცი თუ ერთგული არ არის, ის ქმრად არ გამოდგება.

**წესი 8**

არასდროს შეხვდე ცოლიან კაცს.

კაცი რასაც არ უნდა ამბობდეს თავის ცოლსა და ოჯახზე, სიმართლე ერთია: ის მატყუარაა და უპასუხისმგებლო. გინდა ასეთი ქმარი?

**წესი 9**

უარი თქვი მასთან ფიზიკურ სიახლოვეზე პირველ ხანებში მაინც.

თუ ის დაბეჯითებით მოითხოვს ამას და ბრაზობს კიდეც, მიატოვე, ნუ გეშინია მისი დაკარგვის. ის შენში მხოლოდ სექსუალურ არსებას ხედავს, შენ ისეთი მამაკაცი გინდა, რომელიც პირველად შენს სულს შეიყვარებს. ფიზიკური სიახლოვე სულიერს მოსდევს. გახსოვდეს, ჯენტლმენები (და შენ ხომ მას ეძებ) აფასებენ ქალის გრძნობებს და არასდროს თავაზობენ სექსს.

**წესი 10**

პატივი ეცი შენი მეგობრის ინტერესებს და ჰობს. ნუ აიძულებ მას შენს გამო უარი თქვას თავის მეგობრებსა და ნათესავებზე. თუ ვერ იტან მის გატაცებას ფეხბურთით ან მის მშობლებს, შეიძლება ეს თქვენი ურთიერთობის შეწყვეტის სერიოზული საბაბი იყოს.

**და ბოლო წესი:**

ურთიერთობა ღირსეულად დაამთავრე.

თუ რაიმე არ აეწყო, ნუ ეცდები ძველი ბედნიერების გამთელებას და მთავარი: არასდროს არ სდიო მამაკაცს. რაც არ უნდა გაგიჭირდეს, იყავი ამაყი. ნუ აიძულებ მამაკაცს შეგიყვაროს. უმჯობესია დროს დაელოდო, რომ ჭრილობები მოგიშუშდეს. მერე კი ყველაფერი თავიდან დაიწყო. ცხოვრებაში იმაზე სასიხარულო არაფერია, როცა გიყვარს ის მამაკაცი, ვისაც უყვარხარ.

და მხოლოდ ასეთი მამაკაცი უნდა აირჩიო!

**ალა სტენტონი, ატლანტა, ა.შ.შ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიუბოვ ორლოვას ცხოვრება და გარდაცვალება

1975 წლის 23 იანვარს, ღამით, ბოლშაია ბრონიაზე, ბინაში ტელეფონმა დარეკა. კრემლის საავადმყოფოდან საბჭოთა კავშირის პირველი კინოვარსკვლავი, მომაკვდავი ლიუბოვ ორლოვა რეკავდა: „გრიშა, რატომ არ მოდიხარ? ჩქარა მოდი, გელი!" ალექსანდროვმა ფაცხა-ფუცხით ჩაიცვა, მძღოლი გამოიძახა და ცოლისკენ გაექანა. 40 წუთში მის საწოლთან იყო. ცოლმა უსაყვედურა: „ოჰ, რამდენი გელოდე!" ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

კინოშედევრების – „მხიარული ახალგაზრდობის", „ვოლგა-ვოლგის" და „ცირკის" შემქმნელმა, ცნობილმა რეჟისორმა გრიგორი ალექსანდროვმა ლიუბოვ ორლოვა ეპოქის უბედნიერეს ქალად აქცია. მისი პორტრეტი სტალინის პორტრეტების გვერდით ეკიდა.

ისინი 40 წელი იდეალური წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. თავისუფლად მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ (ერთხელ ლიუბოვ ორლოვა პარიზში მხოლოდ იმისთვის გაფრინდა, რომ ახალი ხელთათმანები ეყიდა). მსოფლიო კინოვარსკვლავებთან მეგობრობდნენ (მაგალითად, ჩაპლინთან). ქმრის საყვედურები ხმამაღლა, სხვის გასაგონად მხოლოდ ერთხელ წამოცდა, როცა აგარაკზე გამგზავრებისას ალექსანდროვს მისი ჩანთის აღება დაავიწყდა: „გრიშა, თქვენ... ხართ". იგი ქმარს ყოველთვის თქვენობით მიმართავდა. შეიძლება, კიდეც ჩხუბობდნენ, მაგრამ არ ამჟღავნებდნენ, მალავდნენ.

კინოს ბრწყინვალე მსახიობი იძულებული იყო მთელი ცხოვრება რაღაც დაემალა: ახალგაზრდობაში – თავადური წარმოშობა. მამა რიურიკოველთა შტოს ეკუთვნოდა, დედაც თავადების ჩამომავალი და ლევ ტოლსტოის შორეული ნათესავი იყო. ახალგაზრდა ლიუბოვ ორლოვა არ ახსენებდა იმ ავსტრიელ თაყვანისმცემელს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერთან კარგი კარიერა გაიკეთა. მალავდა თავის ურთიერთობას ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, რომელიც, როგორც ამბობენ, ორლოვათი იყო გატაცებული, თუმცა ამ ურთიერთობას სერიოზული არაფერი მოჰყოლია.

შემდეგ მას სახალხო კომისარიატის ჩინოვნიკი, 29 წლის ანდრეი ბერზინი შეხვდა, რომელსაც გაგიჟებით შეუყვარდა ლამაზი ლიუბოჩკა. დაქორწინდნენ, რამდენიმე წლის შემდეგ კი ბერზინი დააპატიმრეს.

ქმრის დაპატიმრების შემდეგ მან ჩემოდანი ჩაალაგა და მშობლიურ ბინაში დაბრუნდა. ქმარს კი მაინც ვერ ივიწყებდა. ერთხელ, „მხიარული ახალგაზრდების" ტრიუმფალური წარმატების შემდეგ სტალინმა იგი კრემლში მიიწვია და ყველანაირი სურვილის შესრულება აღუთქვა. მინდა ჩემი პირველი ქმრის ბედის შესახებ ვიცოდეო, – უთხრა ორლოვამ.

მეორე დღესვე მსახიობი ლუბიანკაზე მიიწვიეს და შეატყობინეს, რომ მისი პირველი ქმარი ყაზახეთის ერთ-ერთ სოფელში იყო გადასახლებული, თუ გსურთ, მასთან გაგაგზავნითო, შეჰპირდნენ. მან ინფორმაციისთვის მადლობა მოიხადა და საჩქაროდ დატოვა იქაურობა. გადასახლებაში გამგზავრება სულაც არ უფიქრია, ახალგაზრდა რეჟისორ გრიგორ ალექსანდროვთან ქორწინება სავსებით აწყობდა. მითუმეტეს რომ მისი გაცნობა ძლივს მოახერხა: როცა რეჟისორი ამერიკიდან დაბრუნდა და „მხიარული ახალგაზრდობისათვის" მსახიობ ქალს ეძებდა, ლიუბოვ პეტროვნა კინოსტუდიაში გაემგზავრა და გადაღება მოითხოვა. ალექსანდროვი სასინჯმა გადაღებამ არ დააკმაყოფილა, მაგრამ მომავალ კინოვარსკვლავს ფარ-ხმალი არ დაუყრია, მან სთხოვა ალექსანდროვის თანამშრომელსა და თავის ნაცნობ ქალს რეჟისორი ფინჯან ჩაიზე მიეწვია. თვითონაც მის ბინაზე თითქოს შემთხვევით აღმოჩნდა. დიასახლისმა რაღაც მოიმიზეზა და ისინი მარტო დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ ორლოვამ ნანატრი როლი მიიღო: ფილმის გამოსვლის შემდეგ კი ალექსანდროვის ცოლი გახდა. ლეგენდები დადიოდა ვნუკოვოს იმ არაჩვეულებრივ აგარაკზე, რომელშიაც სახელგანთქმული ოჯახი დასახლდა.

ყველაზე ძნელი ორლოვასათვის ასაკის შენარჩუნება იყო. საბჭოთა მსახიობებთაგან პირველმა გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია. გაუთავებელმა დიეტებმა სიკვდილამდე მიიყვანა. ავადმყოფობის გამო კვირაში ერთ კოლოფ სიგარეტს დასჯერდა. სამოცდათორმეტი წლისამ დაიწყო გადაღება ფილმში „შოშია და ქნარი". სცენარის მიხედვით, ერთერთ ეპიზოდში მას საქორწინო კაბა უნდა სცმოდა. როგორც მსახიობები იგონებენ, საშინელი იყო ფატიანი ბებერი მსახიობის ცქერა. ფილმი აკრძალეს.

ერთხელ, კინოსტუდიიდან შინ დაბრუნებისას, ორლოვას ღებინება დაეწყო. კუნცევოს საავადმყოფოს ექიმებმა, სადაც ის მიიყვანეს, უთხრეს, რომ მას ნაღვლის ბუშტში კენჭები ჰქონდა. გაუკეთეს ოპერაცია. „საოცარია, რომ ასეთი პატარა ნაკერი მაქვს". უკვირდა ოპერაციის შემდეგ ლიუბოვ ორლოვას და ახლობლებს გაუთავებლად უჩვენებდა კოლოფში მოთავსებულ პატარა კენჭებს, არა და, მას არავითარი კენჭები არ აღმოაჩნდა (სხვისი შეატყუეს). ოპერაციის შემდეგ ალექსანდროვს შეატყობინეს, რომ მის ცოლს კიბო ჰქონდა.

მან კი არაფერი იცოდა და თავს თითქოს უკეთ გრძნობდა. ერთხელ პალატაში საბალეტო დაზგა მიატანინა, რომელზეც ადრე ყოველდღე ვარჯიშობდა. ახლა ტკივილებისგან კვნესოდა, ტიროდა, მაგრამ მაინც ვარჯიშობდა. „სიკვდილის სულ არ მეშინია, დავიღალე", – თქვა ბოლოს და აღიარა, რომ შესანიშნავად იცის, რაც სჭირს.

თაყვანისმცემლებს მიცვალებულის სახე არ უნახავთ. ისე იყო შეცვლილი, ალექსანდროვმა კუბოს თავი არ აახდევინა.

...გრიგორი ვასილიევიჩმა ერთი წლის შემდეგ ვაჟი დაკარგა, რომელიც პირველი ქორწინებიდან ჰყავდა და მის ცოლზე იქორწინა. ქალი, რომელსაც ლიუბოვ პეტროვნა შინ არ უშვებდა, მოსკოვის ბინისა და ვნუკოვოს აგარაკის სრულუფლებიანი დიასახლის გახდა. ალბათ ალექსანდროვის სიკვდილის შემდეგ დიდებული ბინებიც გაიყიდება, XX საუკუნის უბრწყინვალესი კინოვარსკვლავის მდიდარი არქივი კი სანაგვეზე გადაიყრება.

**„აიფი"**

# ტკბილი ახალი წელი თქვენს ოჯახში

**საახალწლო მისვლა-მოსვლა, სტუმრიანობა და მოლოცვები თითქმის მთელი იანვარი გრძელდება. მერედა, ამ თვეში სახელობის დღეებიც არის! ასე რომ, როცა მოკეთე ან მეგობარი გეწვევათ, მოუმზადებელიც რომ იყოთ, შეგიძლიათ მასთან ერთად საუბარში სახელდახელოდ მოამზადოთ ჩვენი შემოთავაზებული ნამცხვარი.**

**თუ ამას დაუმატებთ ყავას ან ჩაის, უკეთესი რა იქნება!**

## ფენოვანი ტორტი შესქელებული რძით

2 კვერცხი ათქვიფეთ 1 ჩაის ჭიქა შაქარში, შეურიეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი, 2 ჭიქა ფქვილი, ნახევრი ჩაის კოვზი სოდა.

ცომი სამად გაყავით. ტორტის ყალიბში ჩააფინეთ ცხიმწასმული ქაღალდი და ზედ გააბრტყელეთ ცომის ერთი ნაწილი (ხელი ცივ წყალში უნდა დაისველოთ). ასე გამოაცხვეთ სამივე ფირფიტა.

1 ქილა შესქელებული რძე (რომელიც ყოველთვის გაქვთ თადარიგში), კოლოფიდან გადმოასხით, შეათქვიფეთ 100 გრამი კარაქი და 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი.

გამომცხვარ ფენებს წაუსვით ეს კრემი და ერთიმეორეზე მოათავსეთ. შემდეგ კრემი ზევითაც გადაუსვით და ნაპირებზეც. ბოლოს მორთეთ მოხალული ნიგვზის ლებნებით.

## შოკოლადის ტორტი

რვა კვერცხის ცილა ცალკე ათქვიფეთ. დაუმატეთ 3 ჩაის ჭიქა შაქარი და კვლავ თქვიფეთ. შემდეგ სათითაოდ შეათქვიფეთ კვერცხის გულები. 1 ჩაის ჭიქა ფქვილი კოვზით ნაზად მოურიეთ, ჩაასხით კარაქწასმულ და ორცხობილამოყრილ ქაღალდიან ფორმაში და გამოაცხვეთ.

**კრემის მომზადება:** 300 გრამი კარაქი კარგად აზილეთ. 1 ჭიქა შაქრის პუდრას შეურიეთ 50 გრამი კაკაოს ფხვნილი. მერე თანდათანობით დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა მდუღარე რძე და თან კარგად ურიეთ. მიღებული მასა თანდათანობით შეურიეთ აზელილ კარაქში და კარგად ათქვიფეთ. ბისკვიტი მორთეთ სპეციალური მოსართავით. მას გვერდებზეც წაუსვით კრემი და შემოაყარეთ დაჭრილი მოხალული ნიგოზი.

## ხვეული კექსი

5 კვერცხის გული ათქვიფეთ 1/2 ჭიქა შაქარში გათეთრებამდე. მერე თანდათანობით შეურიეთ შიგ 1/2 ჭიქა პურის ფქვილი, 1/2 ჭიქა კარტოფილის ფქვილი და კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა. მიღებული ცომი თანასწორ ფენად მოათავსეთ ერბოწასმულ და ოდნავ ფქვილმოყრილ ფურცელზე და შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში. როცა ცომი გავარდისფერდება და ყალიბს ადვილად მოცილდება, გამოიღეთ ღუმელიდან, მოათავსეთ მაგიდაზე, სწრაფად წაუსვით ზედ ხილის პიურე და სანამ ცხელია, დაახვიეთ. ზემოდან მოაყარეთ წმინდა შაქრის ფხვნილი და შედგით ღუმელში 1 წუთით.

## ნიგოზმოყრილი ნამცხვარი

2 მთლიანი კვერცხი და 1 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ 1 1/2 ჭიქა შაქრის ფხვნილში. აურიეთ 3/4 ჩაის ჭიქა მაწონი, 1/2 ჭიქა ერბო, სოდა, 1/2 კოვზი დანაყილი ლიმონის კანი, ვანილი, შემდეგ ჩაყარეთ იმდენი ფქვილი, რომ საშუალო სისქის ნაზი ცომი გამოვიდეს. მოზელილი ცომი გადმოიღეთ ფქვილმოყრილ ფიცარზე, გააბრტყელეთ თითის სისქეზე, გამოჭერით სხვადასხვა სახეობად, დაალაგეთ ფქვილმოყრილ ფურცელზე, თითოეულს ზემოდან წაუსვით რძეში გახსნილი კვერცხის გული (1 კვერცხის გულზე 2 ჩ. კოვზი რძე), მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ნიგოზი და შედგით გამოსაცხობად.




**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის**
**ტელეფონი:**
**99-98-71**

ჟურნალის შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ეს მისი აღსაყდრების 27-ე წლისთავს. ღმერთმა დიდხანს გვიჯანმრთელოს საქართველოსა და მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელთა სასიქადულოდ. მან მთელი ცხოვრება ქვეყნისადმი სამსახურს მიუძღვნა. სულ ახლახანს კი უდიდესი და უმშვენიერესი სამების ტაძრის „დაბადებით" გაგვახარა, რომლის მშენებლობის იდეაც მას ეკუთვნის.**



● გიორგობა ახალ ტაძარში

ფოტო ვარლამ გენგიურის

# რა ხელმა ააგო...

წმინდა სამების საკათედრო ტაძარი მსოფლიოში უდიდესი და ულამაზესი სამსართულიანი ნაგებობაა და რვა ათას ადამიანს იტევს. აქვს განათების მძლავრი წყარო, გათბობისა და გაგრილების საშუალებები, გათვალისწინებულია ყველანაირი კომფორტი.

სამების გრანდიოზული ტაძრის მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში ოთხასი მუშა და ხელოსანი მუშაობდა. ტაძრის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილს. მრავალი ხუროთმოძღვრითა და სამშვენისით შემკობილი ტაძარი პირველ რიგში სწორედ მათ, მშენებლებსა და ოსტატებს ეამაყებათ. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, უკლებლივ ყველას სახელი ისტორიაში შევა და წირვა-ლოცვის დროს მოიხსენიება.

პირველი ზარი სამებაზე 2004 წლის 23 ნოემბერს დარეკა. როგორც წმიდა მამები ამბობენ: „ზარები რომ რეკენ, ისინი უნდა გვახსენებდნენ ჩაქუჩის ცემის ხმას ლურსმანზე, რომელიც გოლგოთაზე ისმოდა მაშინ, როდესაც მაცხოვარს ჯვარზე აკრავდნენ.

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

